# აჭარა

გამოცემის 102-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№80 (24.960) შაბათი, 30 ივლისი - 1 აგვისტო, 2022 წ. 50 თეთრი


**გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით**

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 8-13 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 25-30, შიდამთიან რაიონებში - 23-28, მაღალ მთაში - 13-18 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 24 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 756 მილიმეტრი.

ხვალ მოსალოდნელია წვიმა, მომდევნო 2 დღეს - უნალექო ამინდი.

## კრიალოსანიუსი

მოვუწოდებდი ჩვენს პოლიტიკოსებს, ზედმეტი აჟიოტაჟი არ ავტეხოთ, სწორედ მათი უგუნური მოქმედებების შედეგია, რომ კოდორის ხეობა დავკარგეთ, - ასე უპასუხა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ჟურნალისტების შეკითხვას ბიჭვინთის ანექსიის საფრთხესთან დაკავშირებით. ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, მმართველი გუნდი მისი გონივრული პოლიტიკით ქვეყანას გააერთიანებს. არსებული ინფორმაციით, 49 წლის ვადით, ბიჭვინთის სახელმწიფო აგარაკების და მის გარშემო 186 ჰექტარი მიწის ნაკვეთის მფლობელი რუსეთის ფედერაცია ხდება. შეთანხმება რუსეთის მთავრობას და ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობას შორისაა გაფორმებული.

* * *

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი, თურქეთის რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, თურქ კოლეგა მევლუთ ჩავუშოღლუს შეხვდა. „შეხვედრაზე აღინიშნა ორი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორობა, რომელიც წარმატებით ვითარდება მრავალი მიმართულებით და განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ორი ქვეყნის ურთიერთობების გაღრმავების და რეგიონული თანამშრომლობის თვალსაზრისით. მინისტრებმა დადებითად შეაფასეს საქართველოსა და თურქეთს შორის მაღალი დონის ურთიერთკავშირების გააქტიურება, - აღნიშნულია საგარეო უწყების განცხადებაში.

* * *

მოვუწოდებ კოლეგებს და არასამთავრობო სექტორს, ნუ მისცემენ ლეგიტიმაციას უაზრობას, დატოვონ მარტო გიორგი ვაშაძე. იგივეს გაკეთება შეიძლება მოგვიწიოს „ქართულ ოცნებასთან“, - ამის შესახებ „გირჩის“ დეპუტატმა იაგო ხვიჩიამ განაცხადა, რითაც ევროკავშირის რეკომენდაციების შესასრულებლად ოპოზიციის მიერ დაწყებულ პარალელურ სამუშაო პროცესს გამოეხმაურა. „ხელისუფლებას არ უნდა მივცეთ იმის თქმის საშუალება, რომ ოპოზიციამ ცალკე პროცესების შექმნით ხელი შეუშალა შეთანხმების მიღწევას“, - განაცხადა მან.

* * *

უნგრეთის მთავრობამ საქართველო შეიყვანა იმ ქვეყნების სიაში, რომელთა მოქალაქეებსაც შესაძლებლობა ექნებათ, დროის განსაზღვრული პერიოდით გამარტივებული წესით მიიღონ უნგრეთში სამუშაო ნებართვა. საგარეო უწყების ცნობით, ამის შესახებ საქართველოსა და უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე გახდა ცნობილი, რომელიც მინისტრ ილია დარჩიაშვილის ბუდაპეშტში ვიზიტის ფარგლებში გაიმართა. „ეს ფაქტი ჩვენი ქვეყნისადმი უნგრეთის ურყევი მხარდაჭერის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა“, - განაცხადა დარჩიაშვილმა.

მოამზადა
ია შველიძე

# თორნიკე რიჟვაძე: ჩვენს ოპონენტებს ამ პროგრამის დისკრედიტაციის საშუალებას არ მივცემთ


ფიქრია დავლაძე 597 25 25 72


*29 ივლისს აჭარის მთავრობის სხდომაზე მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ აჭარაში ტურიზმის განვითარებაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ტურიზმი აჭარაში სწრაფი ტემპით უბრუნდება 2019 წლის მონაცემებს*



- პოზიტიური დინამიკა შეინიშნება როგორც საერთაშორისო, ისე შიდა ტურიზმის მიმართულებით. რეგიონში გააქტიურებულია კულტურული ცხოვრება, საერთაშორისო ფესტივალები, რაც მნიშვნელოვანია როგორც აჭარის მცხოვრებლებისთვის, ისე ჩვენი სტუმრებისთვის. ტურიზმის აღდგენასთან დაკავშირებით, მინდა საზოგადოებას მივაწოდო განახლებული ინფორმაცია. ყველა პარამეტრით აღდგენილია 2019 წლის ტურისტული ნაკადების დინამიკა. მინდა აღვნიშნო, რომ ტურისტული და სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა მიმდინარეობს აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში. ქედასა და შუახევში უკვე მოეწყო ახალი, თანამედროვე ინფრასტრუქტურა. ასევე, ქობულეთში დასრულდა ახალი ბულვარის მშენებლობა. ჯვარიმინდორზე, შუახევში მოეწყო ახალი ტურისტული თავშესაფრები და საპიკნიკე ინფრასტრუქტურა. აშენდა ეთნოსოფელი მაჭახელაში, რომელიც მნიშვნელოვანია ხელვაჩაურისთვის. ასევე, ბათუმში, ახალი ბულვარის ტერიტორიაზე პლაჟის ხელოვნური კვების სამუშაოები იწყება. ბათუმისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეფექტიანი ნაპირდაცვითი ღონისძიებები. უკვე დასრულდა პროექტირება, შესაბამისი სპეციალისტების ჩართულობით და რეკომენდაციებით იწყება ნაპირის დაცვისა და კვების ღონისძიებების განხორციელება, - აღნიშნა თორნიკე რიჟვაძემ. მისივე თქმით, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში 112 -ზე მეტმა ოჯახმა მიიღო ახლად აშენებული ბინები. გარდა ამისა, ხელვაჩაურში დაიწყო ორი ახალი სოციალური სახლის მშენებლობა, რომელიც 82 ოჯახზეა გათვლილი. აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ავარიულ სახლებთან დაკავშირებითაც ისაუბრა და განაცხადა, რომ ყველა საკანონმდებლო და ინსტიტუციური ცვლილებაა განხორციელებული, 3 წლის ვადაში ამ პროგრამით ავარიულ სახლებში მცხოვრებმა 3000-ზე მეტმა ოჯახმა რომ ისარგებლოს.

- მოგეხსენებათ, ჩვენ რამდენიმე თვით ადრე დავამტკიცეთ მიზნობრივი პროგრამა - „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ უსწრაფესად შეძლო 80 მლნ ლარზე მეტის მობილიზება. ამავე დროს, საქართველოს პარლამენტის მხარდაჭერით, შევძელით სხვა ავარიული, საფრთხის შემცველი ნაგებობების ჩანაცვლების მიზნით განხორციელებულიყო შესაბამისი ცვლილებები. ჩვენი ოპონენტები ცდილობენ ამ პროგრამის დისკრედიტაციას. ჩვენ ამის საშუალებას არ მივცემთ. ეს პროცესი სრულად გამჭვირვალე იქნება. დარწმუნებული ვარ, ბათუმის მუნიციპალიტეტი, მერია და ეკონომიკის სამინისტრო წარმატებით განახორციელებენ პროგრამას, - აღნიშნა მთავრობის თავმჯდომარემ. სხდომაზე ისიც ითქვა, რომ აჭარაში ინტერნეტიზაციის უმნიშვნელოვანესი პროგრამა ხორციელდება. საქართველოს მთავრობისა და ეკონომიკის სამინისტროს ხელშეწყობით, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, რეგიონებში იქმნება ერთიანი ნეიტრალური ოპტიკურბოჭკოვანი ინფრასტრუქტურა, რაც ციფრულ ეპოქაში მნიშვნელოვანია თითოეული მოქალაქისთვის. საპილოტე ქსელის მშენებლობა განხორციელდება „open Net“-ის მიერ. ოპტიკური ინფრასტრუქტურის პროექტის განხორციელება უკვე დაიწყო ქობულეთსა და ხელვაჩაურში, მომავალ წელს დაიწყება მაღალმთიან აჭარაში, ქედაში, შუახევსა და ხულოში. თორნიკე რიჟვაძე სხდომაზე გამოვიდა ინიციატივით, ბათუმის „დინამოს“ მომავალი წარმატებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებები გატარდეს.

- მინდა აღვნიშნო, რომ გუნდმა 4 წლის განმავლობაში მიაღწია არსებულ პროგრესს, 2018 წელს გუნდი თამაშობდა მე-2 ლიგაში და გახდა როგორც ჩემპიონი, ასევე, საქართველოს თასის მფლობელი. ჰქონდა გარკვეული წარმატებები, შესაძლოა, ჩავარდნებიც ევროტურნირებზე, მაგრამ ჩვენთვის ბათუმის „დინამო“ გუნდზე მეტია და მომავალშიც გავაგრძელებთ მის მხარდაჭერას. ამიტომ დღეს გამოვდივარ ინიციატივით, უმაღლეს საბჭოს მივმართოთ თხოვნით, შესაბამისი ხელშეწყობის ღონისძიებების გასატარებლად, რომელიც დაეხმარება ჩვენს გუნდს, გახდეს აღმოსავლეთ ევროპის ნამდვილი გრანდი და ეს ასეც იქნება.

აჭარის მთავრობის გადაწყვეტილებით, საქველმოქმედო ფონდ „იალქანს“ მიუსაფარი ბავშვების დღის ცენტრის მშენებლობის მიზნით, რომელიც დამატებით 30 ბავშვზე იქნება გათვლილი, 1500 კვ მიწის ფართობი გადაეცა.

- ორი წლის წინ ფონდ „იალქანს“ გადავეცით ფართი, რომლის საფუძველზეც მოეწყო დღის ცენტრი და რომლითაც 80-ზე მეტი ბენეფიციარი სარგებლობს. მივიღეთ გადაწყვეტილება, ფონდს ქობულეთის მუნიციპალიტეტში დამატებით გამოვუყოთ მიწის ნაკვეთები, სადაც მოეწყობა 24-საათიანი ცენტრი და მოემსახურება 30-ზე მეტ ბავშვს, - აღნიშნა მთავრობის თავმჯდომარემ.

## «ხელისუფლებაც და ოპოზიციაც ახლა ერთად უნდა საუბრობდეს დასავლეთზე, როგორც მაშველ რგოლზე»


3


## «გარემო ჩვენთვის მისაწვდომი და ადაპტირებული უნდა იყოს!»


7



## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.




დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! ☎ 27-48-93

# გერმანულ მხარესთან შეთანხმება მიღწეულია

მანანა ტაკიძე 27 48 93

*ქალაქ ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი და საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძე მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის აღმასრულებელი სააგენტოსა და საკონსულტაციო კომპანიის წარმომადგენლებს შეხვდნენ. შეხვედრას ესწრებოდნენ საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ირაკლი თავდგირიძე, საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე გოჩა მგელაძე და ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე მინდია გოგუაძე*



შეხვედრაზე განიხილეს შემოერთებულ ტერიტორიებზე წყლისა და წყალარინების თანამედროვე სისტემების მოწყობის საკითხი, ასევე წარმოდგენილი იყო V ფაზის ფარგლებში განხორციელებული ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის პრეზენტაცია.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, გერმანიის ფინანსური მხარდაჭერის ფარგლებში, ბათუმში წყლისა და წყალარინების სისტემების პროექტის IV ფაზა უკვე დასრულებულია. ასევე, გერმანულ მხარესთან მიღწეულია შეთანხმება ქალაქისთვის შემოერთებულ ტერიტორიებზე პროექტის V ფაზის განხორციელებასთან დაკავშირებით, რისთვისაც პროექტის ფარგლებში 78.8 მილიონი ევრო დაიხარჯება.

დაგეგმილია წყალარინების გამწმენდი ნაგებობების გაფართოება, სატუმბი სადგურების მშენებლობა-რეაბილიტაცია და წყლის სამარაგო რეზერვუარის მშენებლობა. წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების სრულად მოწესრიგების შემდეგ, აღნიშნულ ტერიტორიებზე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება საინვესტიციო გარემო, რაც ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს ადგილობრივ მოსახლეობას.

# აჭარაში წყლის სისტემების განვითარების პირველი მასშტაბური პროექტი მიმდინარეობს

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

*თანამედროვე სტანდარტების წყლის სისტემებით სარგებლობას აჭარაში დამატებით, 39 სოფლის 30 000-მდე ადამიანი შეძლებს*

აჭარის მოსახლეობა 24-საათიანი უწყვეტი წყალმომარაგებით და გამართული წყალარინების სისტემით ისარგებლებს. მასშტაბური პროექტის პრეზენტაცია ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ოჩხამურში გაიმართა.

პროექტით ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სარეაბილიტაციო სამუშაოები მუხაესტატეს მეურნეობის დასახლებაში, ქვედა კვირიკეში, ჩაქვისთავში, ცეცხლაურში, ოჩხამურსა და ჯიხანჯურში განხორციელდება.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისთვის 11 954 784 ევრო დაიხარჯება. განახლებული კომუნალური ინფრასტრუქტურით ქობულეთის მუნიციპალიტეტში 1600-მდე ოჯახი ისარგებლებს.

ოჩხამურის, ცეცხლაურის და ჯიხანჯურის დასახლებების უწყვეტი წყალმომარაგებისთვის სპეციალური ჭაბურღილები მოეწყობა. აშენდება 1 წყლის გამწმენდი და 5 ხელოვნური ჭაობის ტიპის წყალარინების გამწმენდი ნაგებობა, ასევე 600 მ³ მოცულობის წყლის რეზერვუარი.

პროექტის ფარგლებში, ქობულეთში კომუნალური საწარმო დაიწყებს ფუნქციონირებას, რომელიც რეაბილიტირებული წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვას უზრუნველყოფს. უკვე შეძენილია სპეცტექნიკა და ექსპლუატაციისთვის საჭირო მასალები.



დღეისათვის, აჭარის 39 სოფელში თანამედროვე სტანდარტების წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის მოსაწყობად, საერთაშორისო ტენდერი დასკვნით ეტაპზეა. კომპანიების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შეფასების შემდეგ გამარჯვებული გამოვლინდება და სამშენებლო სამუშაოები დაიწყება.

აჭარაში კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი KfW ბანკისა და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. მასშტაბური პროექტის ბიუჯეტი 59,5 მილიონი ევროა.

# ქობულეთის საკრებულოს სხდომაზე

***გაიმართა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილი უძღვებოდა***



სხდომაზე იურიდიულ-საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დავით წულუკიძემ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის N07 დადგენილებაში შესატანი ცვლილებები განიხილა, რომელიც ხმათა უმრავლესობით დაამტკიცეს.

ლია შაქარიშვილმა „ქობულეთის მუნიციპალური „გენდერული თანასწორობის საბჭოს“ შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 იანვრის N01 განკარგულებაში ცვლილებები წარმოადგინა, რაც გულისხმობდა ორი ახალი წევრის დამატებას გენდერული თანასწორობის საბჭოში. ამასთან, განიხილეს რუსთაველის ქ.N215 სახლის მიმდებარედ სკვერისათვის სახელის მინიჭების საკითხი. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე განმცხადებელს უარი ეთქვა.

ინფრასტრუქტურის, სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლაშა ხახუტაიშვილმა მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და საწყისი წლიური საიჯარო საფასურის განსაზღვრის საკითხი წარადგინა, რომელიც რამდენიმე არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობას ეხებოდა. სხდომაზე სულ 7 საკითხი განიხილეს.

სხდომას ხმაურისა და სიტყვიერი დაპირისპირების გარეშე არ ჩაუვლია. მის დაწყებამდე „ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქციის წევრებმა საკრებულოს თავმჯდომარის გადადგომა მოითხოვეს და შეახსენეს, როგორ დაემუქრა 3 ივლისის აქციაზე წამსვლელ თანამშრომლებს. ამ საკითხს პოლემიკა მოჰყვა, „ქართული ოცნების“ დეპუტატებმა ოპოზიციის წევრები სიცრუეში დაადანაშაულეს.

დავით მჭედლიშვილმა „ნაციონალური მოძრაობის“ ბრალდებებს უპასუხა და განაცხადა, რომ ის ჩანაწერი, რომელიც ერთ-ერთმა მედიასაშუალებამ გაავრცელა, დამონტაჟებული იყო.

ანკა ჩხიკვაძე

# „ოქროს საწმისი – არგონავტების კვალდაკვალ“

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

კულტურისა და ტურიზმის განვითარებისა და ხელშეწყობის კავშირის ორგანიზებით (თავმჯდომარე ანჟელა ქამუშაძე) და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის სამსახურის (ხელმძღვანელი მერაბ ქიძინიძე) მხარდაჭერით, ჩვენს ქალაქში ხუთ დღეს მიმდინარეობდა საერთაშორისო კონკურს-ფესტივალი „ოქროს საწმისი - არგონავტების კვალდაკვალ“, რომელსაც ბათუმმა მესამედ უმასპინძლა. წელს მასში შვიდი ქვეყანა მონაწილეობდა, მათ შორის ინდოეთი, ირანი, თურქეთი, ესტონეთი, ყაზახეთი, სომხეთი და საქართველო. ღონისძიებაზე, ძირითადად, პროფესიონალი ანსამბლები ვიხილეთ, რომლებიც თავიანთ ქვეყნებში, კულტურულ დაწესებულებებში მუშაობენ და იქაურ ღონისძიებებში მონაწილეობენ. როგორც ინდოეთიდან ჩამოსული ანსამბლის „შივ სადხანა აკადემია“ ხელმძღვანელმა ჯიგნასუ პანდიამ გვითხრა, ისინი საქართველოში უკვე მეათედ ჩამოვიდნენ სხვადასხვა ფესტივალზე, რადგან აქაურობით ძალიან მოიხიბლნენ.

როგორც ფესტივალის ორგანიზატორმა ანჟელა ქამუშაძემ გვითხრა, ფესტივალი არა მარტო კულტურულ-გაცვლით პროგრამებს - კონცერტებს ითვალისწინებდა, არამედ მასტერკლასებს, კონფერენციებს, ექსკურსიებს აჭარასა და ქვეყნის სხვა რეგიონში. ორგანიზატორების აზრით, ეს კუტურული ტურიზმის განვითარებას შეუწყობს ხელს, რაც ფესტივალის ძირითადი მიზანია. ასევე სურთ, უშუალოდ კულტურის სფეროში მომუშავე ადამიანებმა უფრო ახლოს გაიცნონ ჩვენი მხარე.

კონკურს-ფესტივალის კომპეტენტური ჟიური დაკომპლექტებული იყო პროფესიონალებით. მათ შორის იყვნენ აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლ „არსიანის“ მოსამზადებელი ჯგუფის ქორეოგრაფი კობა მარგალიტაძე, ამავე ანსამბლის მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელი, ლოტბარი გიორგი ჩხარტიშვილი და ვეტერანთა ჯგუფის სოლისტი, ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის ბალეტის სკოლის ქართული ცეკვის ქორეოგრაფი მარიკა სიხარულიძე, ინდოეთიდან მოწვეული ჰყავდათ მსახიობი, მომღერალი და ქორეოგრაფი აკურბა პანდია, ირანიდან - პროფესიონალი პროდიუსერი და იმპრესარიო მოჰამედ რესანი.

იხ. მე-8 გვ.

## ანრი ფუტკარაძე მსოფლიო ჩემპიონია

სოფელ კვიახიძეების სახელოვან ადამიანთა სიაში უკვე ჩაიწერა მეთორმეტე კლასის მოსწა-



ვლე ანრი ფუტკარაძის სახელი. იგი იტალიის დედაქალაქ რომში გამართულ ბერძნულ-რომაული სტილით 17 წლამდე ასაკის მოჭიდავეთა შორის, 71 კილოგრამ წონით კატეგორიაში, მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. მან ფინალში 3:1 დაამარცხა აზერბაიჯანელი დაუდ მამადოვი.

ანრი სოფლის საჯარო სკოლის პედაგოგების თამილა გუნდაძისა და მანუჩარ ფუტკარაძის შვილია. მან დაწყებითი კლასების დასრულების შემდეგ, სწავლა და ვარჯიში ბათუმში გააგრძელა მწვრთნელ უჩა შავაძის ხელმძღვანელობით.

შუახევის სპორტსმენთაგან ამ ასაკში ანრი პირველია, რომელმაც ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში ასეთი წარმატება მოიპოვა.

- ანრის მთელი სოფელი გულშემატკივრობდა, - გვითხრა კვიახიძეების საჯარო სკოლის დირექტორმა თამაზ დიასამიძემ, - თანასოფლელებმა მას წარმატება რომშივე მივულოცეთ. ანრის მოწვევას სოფელშიც ვაპირებთ.

## დღესასწაული – ორგანიზებულად

შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის ფრიდონ დავითაძის ანგარიში მოისმინეს „შუამთობის“ დღესასწაულის ორგანიზებულად ჩატარების თაობაზე.

აღინიშნა, რომ ამასთან დაკავშირებით გამოცხადდა კონკურსი. გამოვლენილია გამარჯვებული, რომელმაც ღონისძიების ჩასატარებლად უნდა გასწიოს 21631 ლარის მომსახურება. ეს გულისხმობს მთა ჩირუხში ღონისძიების მომზადება-ტრანსპორტირებას, სარეკლამო სახის ბანერების განთავსებას, მოწვეული სტუმრების გამასპინძლებას. „შუამთობა“ დაიწყება 2 აგვისტოს და 7 აგვისტოს დასრულდება. ამ დღეს მთა ჩირუხში გაიმართება დასკვნითი ზეიმი.

დაგეგმილია უფასო სატრანსპორტო რეისები, მოწვეული არიან სტუმრები საზღვარგარეთიდან, მათ შორის თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ინეგოლიდან. სტუმრების მასპინძლობისა და ტრანსპორტირების ხარჯებს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო გაიღებს, რისთვისაც გათვალისწინებულია 25 ათასი ლარი.

„შუამთობის“ პერიოდში მუნიციპალიტეტის 15 მთას მოემსახურება 11 ექიმი და 12 ექთანი.

მოამზადა
ოთარ ცინარიძე

# „ხელისუფლებაც და ოპოზიციაც ახლა ერთად უნდა საუბრობდეს დასავლეთზე, როგორც მაშველ რგოლზე“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*პოლარიზებული პოლიტიკური გარემო, დაყოფილი საზოგადოება, ურთიერთდაპირისპირებული პოლიტიკური სპექტრი დღევანდელი საქართველოს სამწუხარო რეალობაა. ამ მხრივ ქვეყანაში მიმდინარე პროცესები მრავალ კითხვას ბადებს: რა ცხადყო გამართულმა მიტინგებმა? შეასრულებს თუ არა ხელისუფლება დასავლურ რეკომენდაციებს კანდიდატის სტატუსის მისაღებად? სხვაგვარად რომ ვთქვათ, რაა ის ასპექტები და ორიენტირი, რომელიც უნდა დავინახოთ და გავაანალიზოთ?..*

*ვესაუბრებით „ლელო საქართველოსთვის“ აჭარის ორგანიზაციის ერთ-ერთ ლიდერს და საკრებულოს წევრ* ***ვაჟა დარჩიას.***



**- როგორ დაახასიათებთ ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ და სოციალურ ვითარებას?**

- ბოლო პერიოდმა ნათლად დაგვანახა, რომ გვაქვს მძიმე მდგომარეობა, პოლიტიკური კრიზისი, რომელიც კანდიდატის სტატუსზე უარის შემდეგ განსაკუთრებით გამწვავდა. ვნახეთ ქუჩაში გამოსული ჩვენი უამრავი თანამოქალაქე, ამ პროცესმა ნათლად დაადასტურა საზოგადოების განწყობა ქვეყანაში არსებული პოლიტიკური პროცესისადმი. სოციალური ფონი ბოლო წლების განმავლობაში მხოლოდ მძიმდება, ამაზეც, რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობა, უპირველესად, ხელისუფლებას ეკისრება. ბოლო პერიოდში გაიზარდა ემიგრაციაში წასვლის მსურველთა რიცხვი, ეს კი ინდიკატორი ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკურ-სოციალური ფონის პირდაპირი ინდიკატორია. ჩვენი ათასობით თანამოქალაქე სიცოცხლისა და თავისუფლების ფასად ცდილობს იგივე აშშ-ში წასვლას მექსიკის გავლით მიუხედავად იმისა, რომ ნათლად იაზრებენ ამ რისკებს. განსაკუთრებით საწყენია, რომ მათი უმრავლესობა ახალგაზრდაა, რომლებიც ვერ ხედავენ საკუთარ ხვალინდელ დღეს საქართველოში.

**- პრობლემური საკითხების ნუსხაში უმუშევრობა, სოციოლოგიური კვლევებით, სამეულშია. ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას რა უშლის ხელს?**

- ხელისუფლების მხრიდან გვესმის, რომ ეკონომიკა დუღს და სიღარიბე ნელ-ნელა იძლევა, თუმცა ჩვენ ხომ საზოგადოების წევრები ვართ და ვხედავთ საკუთარი ოჯახებისა თუ ნათესავების მაგალითზე, რამდენად გართულებულია ცხოვრება. სტატისტიკა არ ასახავს რეალობას, მით უმეტეს, როცა მისი ძირითადი ამოცანა მანიპულირებაა და არა შექმნილი მძიმე სურათის აღქმა-გააზრება. თურმე ამ ქვეყანაში საშუალო ხელფასი ათას ორას ლარს აღემატება, გვაქვს ორნიშნა ეკონომიკური ზრდა და ეკონომიკის დუღილი, რეალურად კი ეს ყველაფერი მხოლოდ მანიპულაციაა და რიგითი ადამიანის მაცივარზე არ აისახება. ამ ყველაფერს, პირველ რიგში, პოლიტიკური სტაბილურობა სჭირდება, რასაც სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში საქართველომ ვერ მიაღწია. ჩნდება განცდა, რომ ეს არასტაბილურობა ხშირად ხელოვნურად არის ხელისუფლების მხრიდან პროვოცირებული. სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობისთვის აუცილებელია ჩვენი ევროპულ ოჯახში გაერთიანება, ხელისუფლებაც და ოპოზიციაც ახლა ერთად უნდა საუბრობდეს დასავლეთზე, როგორც მაშველ რგოლზე, როგორც გამოსავალზე ამ მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან. ჩვენ ვალდებულები ვართ, მოსახლეობას დავანახოთ კავშირი დასავლეთსა და ჯიბეს შორის და არა - პირიქით. დღეს ხელისუფლებას ამის პოლიტიკური ნება არ გააჩნია და სხვადასხვა მანიპულაციის ხარჯზე ცდილობს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას. და ეს მაშინ, როცა საწვავის ფასი რეკორდულად მაღალია, გვაქვს ორნიშნა ინფლაცია, ლარის დროებითი გამყარებაც, ეჭვი მაქვს, მხოლოდ ტურისტული სეზონის დამსახურებაა. ამის ფონზე კი ხელისუფლება გარემოვაჭრეების აყრით და მათთვის ბოლო ლუკმის ამოცლითაა დაკავებული, რაც ბოლოს გორის მაგალითზე ვნახეთ.

**- ოპოზიცია ხელისუფლებას აკრიტიკებს არა მხოლოდ ოპონენტების დევნისთვის, არამედ ანტიდასავლური რიტორიკისთვის...**

- ეს არ არის ოპოზიციის თვითმიზანი, ამას ფაქტები ადასტურებს და ამაზე ამერიკის ელჩი და სხვა ჩვენი დასავლელი პარტნიორები ღიად საუბრობენ, ის კი არ ვნახეთ, რომ ხელისუფლებამ ამ გზის გასაგრძელებლად მორიგი „ტრიუკი“ შემოგვთავაზა და ვითომ ამბოხებული დეპუტატების პირით ყოველდღიურად ეწევა მკვეთრ ანტიდასავლურ პოლიტიკას. ეს არის რეალობა, რომელიც, სამწუხაროდ, „ქართული ოცნების“ ბოლოდროინდელმა პოლიტიკამ შექმნა.

**- „საქართველოს ზოგიერთი ოფიციალური პირის ბოლოდროინდელი რიტორიკა საქართველოს ევროპულ პერსპექტივას ხელს უშლის“ - განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერმა ნედ პრაისმა. ეს რისი მანიშნებელია?**

- ზუსტად ამაზე ვსაუბრობდი წინა კითხვაშიც. პრაისის ამ განცხადებამაც უკმაყოფილება გამოიწვია „ქართულ ოცნებაში“ და თქვეს, რომ ის არ არის საკმარისად ინფორმირებული, მიუხედავად იმისა, რომ ბატონი პრაისი 11 წელი იყო ამერიკის დაზვერვის ოფიცერი, ჩვენი ხელისუფლება კი, კერძოდ, ბატონი სარჯველაძე მას ინფორმირებულობას უწუნებს, რაც, ცოტა არ იყოს, კომიკურია.

**- დასავლელი პარტნიორები მმართველ პარტიასა და ოპოზიციას ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე შეთანხმებისკენ მოუწოდებენ, თუმცა კონსესუსი ვერ ხერხდება.**

- დღეს საქართველოს პარლამენტში მიდის ორი პარალელური პროცესი, შექმნილია ორი სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანია 12 პუნქტზე მუშაობა. ერთ პროცესში ხელისუფლება ოპოზიციის ნაწილთან ერთად, ჩემი აზრით, სამუშაო პროცესის იმიტაციას ქმნის, ხოლო მეორე სამუშაო ჯგუფი, არასამთავრობო სექტორთან ერთად, ოპოზიციის მეორე ნაწილი, ცდილობს რეალურ გზებსა და კონკრეტულ ინიციატივებზე მსჯელობას, რომელიც ეხმიანება 12 პუნქტს. ამ პროცესში ჩართულია ჩვენი პარტიაც. „ლელოს“ ვერავინ დასდებს ბრალს, რომ ოდესმე გაურბოდა რაიმე დიალოგს, პირიქით, თუმცა ვნახეთ, რომ ხელისუფლებამ ეს პროცესი ჩააგდო. ჩვენი გუნდი იყო ერთ-ერთი ინიციატორი, რომ პრეზიდენტისთვის მიგვემართა რიგგარეშე სხდომის მოწვევის თაობაზე, სხდომაზე, რა თქმა უნდა, საუბარი უნდა ყოფილიყო 12 პუნქტის შესრულების გზებზე. ჩვენი, პრეზიდენტისა და საპარლამენტო ოპოზიციის მხრიდან ხელისუფლების დიალოგზე მოწვევა „ქართულმა ოცნებამ“ უგულებელყო და რიგგარეშე სხდომა ჩააგდო, შესაბამისად, ამის შემდეგ ჩვენმა გუნდმა ჩათვალა, რომ რაიმე საერთო მისთვის საუბარი იქნება მხოლოდ პროცესის იმიტაცია და პროცესისთვის ლეგიტიმაციის მინიჭება, სწორედ ამიტომ მუშაობს ჩვენი გუნდი მესამე სექტორთან და საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილთან ერთად.

**- მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციამ საშემოდგომოდ ტაიმაუტი აიღო დემონსტრაციების გამართვისთვისთვის, რა ცხადყო უკვე გამართულმა საპროტესტო აქციებმა?**

- ამ პროცესებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ქართველი ხალხის ურყევი ნება, გახდეს ევროპული ოჯახის წევრი. მე მომეცა იმედი და დამიბრუნდა განცდა, რომ ამ ქვეყანაში მყავს ასეულობით ათასი მოკავშირე იმ საქმეში, რომელსაც ჰქვია საქართველოს დასავლურ ოჯახში გაერთიანება და რომლისთვისაც, შეიძლება ითქვას, ეს ხელისუფლება, არაფერს აკეთებს. ჩემი აზრით, საპროტესტო მუხტი დეკემბრის ბოლოს გაიზრდება.

**- ოპოზიცია ხელისუფლებას რომ აკრიტიკებს, ეს გასაგებია და ასეც უნდა იყოს, მაგრამ ოპოზიციური სპექტრის ურთიერთდაპირისპირება რას ცხადყოფს?**

- ჩემთვის ესეც გასაგები და ბუნებრივია - ამდენი განსხვავებული პარტია არ შეიძლება იყოს ერთ აზრზე, შესაბამისად, რიგ საკითხებზე, თუნდაც იმ საპარლამენტო სამუშაო ჯგუფებზე, რომლებზეც უკვე ვისაუბრე, რომ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, ვფიქრობ, ეს ბუნებრივია და ვიტყოდი, რომ აუცილებელი პროცესიც კი. თუმცა, იმაშიც გეთანხმებით, რომ ეს ხშირად ცდება ჯანსაღ პროცესს და მხოლოდ ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს.

**- არ წყდება საუბარი პარლამენტში ოპოზიციის ყოფნა-არყოფნაზე...**

- ვთვლი, რომ დეკემბრამდე ოპოზიციის ყოფნა პარლამენტში აუცილებელია, სხვაგვარად ეს არ იქნება ქვეყნის ინტერესის გამომხატველი პოზიცია. აი, დეკემბრის მერე კი შეიძლება ვისაუბროთ პარლამენტში ყოფნაზე. რა თქმა უნდა, ბევრი რამ იქნება დამოკიდებული შედეგზე. ბუნებით გამოუსწორებელი ოპტიმისტი ვარ, თუმცა, კანდიდატის სტატუსის დეკემბერში მიღებას მეც კი პესიმისტურად ვუყურებ „ქართული ოცნების“ პირობებში, შესაბამისად, ამის შემდეგ უკვე ვნახავთ სურათს და მივიღებთ გადაწყვეტილებას იმაზე, თუ რამდენად ღირს საპარლამენტო საქმიანობის გაგრძელება. დღეს საპარლამენტო ბოიკოტი, ვფიქრობ, რომ დღის წესრიგში არ დგას და არც შეიძლება იდგეს.

**- თქვენ ბათუმის საკრებულოს წევრი ხართ. მმართველი პარტია ამ ოპოზიციის როლს უარყოფითად აფასებს...**

- „ქართული ოცნების“ მსგავსი დამოკიდებულება ოპოზიციის მიმართ არახალია, ვთვლი, რომ წარმომადგენლობით ორგანოს ნორმალური ფუნქციონირებისთვის ძლიერი ოპოზიციის ყოლა მხოლოდ ფუფუნებაა ხელისუფლებისთვის და დღეს თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ბათუმის საკრებულოში ოპოზიცია სწორედ ასეთია. მე ყოველთვის ვცდილობ კონსტრუქციულ და საქმიან საუბარს მმართველ გუნდთან, თუმცა უკვე ორი საკრებულოს სხდომა ჩატარდა და ოპოზიციის მხრიდან მიცემული არცერთი შენიშვნა ფაქტობრივად, არ იქნა გათვალისწინებული. სამწუხაროდ, ეს დამოკიდებულება, მით უმეტეს, ბათუმის საკრებულოში არსებული პროპორციის ფარგლებში, ძალიან არასწორი მგონია. თუმცა მე, როგორც ბათუმელების წარმომადგენელი, მაქსიმალურად ვეცდები ჩემი მიკროფონის ამ ქალაქის საკეთილდღეოდ გამოყენებას და მათი ყოველდღიური პრობლემების გაჟღერებას საკრებულოში.

**- რამდენად შეძლებს ხელისუფლება საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მისაღებად დაწესებული 12 პუნქტის შესრულებას?**

- ამაზე ინტერვიუს მიმდინარეობისას ვისაუბრე. რომ არსებობდეს პოლიტიკური ნება, რა თქმა უნდა, შეუძლებელი არაფერი იქნებოდა, თუმცა ამ რიტორიკითა და დამოკიდებულებით წარმოუდგენელია, როგორ უნდა შესრულდეს ეს 12 რეკომენდაცია. წარმოუდგენელია, ვსაუბრობდეთ მართლმსაჯულების რეფორმაზე და პოლიტიზებული მართლმსაჯულების სიმბოლო, ბატონი ჩინჩალაძე ამ პუნქტების მიღებიდან მეორე დღეს დანიშნო სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ. ასევე, წარმოუდგენელია ვსაუბრობდეთ დეოლიგარქიზაციაზე და აქ არ იყოს საუბარი ბიძინა ივანიშვილზე, ისევე როგორც წარმოუდგენელია ვსაუბრობდეთ დეპოლარიზაციაზე და ამ დროს ქმნიდე ახალ, ხელოვნურ ცენტრს ოპოზიციის საკრიტიკებლად „სიმართლის მთქმელი ხალხის“ სახით და ევროკავშირს ულტიმატუმს უყენებდე, რომ თუ კანდიდატის სტატუსს მივიღებთ, მხოლოდ მაშინ იქნება საუბარი პროპორციულ არჩევნებზე ბუნებრივი ბარიერით. ეს არის სრულიად განსხვავებული პროცესი იმისგან, რაზეც ევროკავშირი გვესაუბრება და რაზეც არის საუბარი 12 პუნქტში. ეს არის პროცესი, რომელიც დაკავშირებულია მხოლოდ ძალაუფლების შენარჩუნებასთან და მეტი არაფერი, ეს კი ბოლო პერიოდის ცნობილმა ამბავმაც, ვგულისხმობ სუს-ის უფროსის ყოფილ მოადგილე სოსო გოგაშვილის დაკავებას, დაადასტურა. ამან დამარწმუნა, რომ ის ხალხი, რომელსაც „ქართულ ოცნებაში“ ვაკრიტიკებდი, მალე ისევ ჩემი დასაცავი გახდება „ქართული ოცნებისგან“.

**- დაბოლოს, როგორ აფასებთ უკრაინაში მიმდინარე ომს და ამ მხრივ რა შესაძლებლობები ან პრობლემები იკვეთება საქართველოსთან დაკავშირებით?**

- უკრაინაში მძიმე მდგომარეობაა, ყოველდღიურად იღუპება უამრავი ადამიანი, გმირი, რომელიც იბრძვის თავისუფალი სამყაროსთვის, მათ შორის, არაერთი ქართველი, რომლებსაც გააზრებული აქვთ, რომ იქ იცავენ საქართველოს ინტერესს. ამ ომს არ შეიძლება ჰყავდეს სხვა გამარჯვებული, გარდა უკრაინისა, რადგან ეს არის სიკეთისა და ბოროტების, სინათლისა და სიბნელის, სამოთხისა და ჯოჯოხეთის ბრძოლა, ამ ბრძოლებში კი ყოველთვის ერთი მხარე იმარჯვებს და ასე იქნება ახლაც. რაც შეეხება საქართველოს, ამ ომის ფონზე მან მიიღო ძალიან დიდი შანსი, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ გაანიავა. მჯერა, შანსს ეს ქვეყანა კიდევ მიიღებს და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ მისი გამოყენებისთვის... თუმცა... „ქართული ოცნების“ პირობებში ეს მაინც მხოლოდ ილუზია მგონია.

## უცხოეთი

„თუ ცეცხლს ეთამაშები, დაიწვები. იმედი მაქვს, აშშ ამას ნათლად დაინახავს“, - ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენს ჩინელმა კოლეგა სი ძინპინმა სატელეფონო საუბრისას განუცხადა. ინფორმაციას ჩინეთის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო ავრცელებს. ბაიდენმა სი ძინპინთან სატელეფონო საუბარი გამართა ტაივანის საკითხზე. თეთრი სახლის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ტაივანთან დაკავშირებით პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ შეერთებული შტატების პოლიტიკა არ შეცვლილა და ოფიციალური ვაშინგტონი მტკიცედ ეწინააღმდეგება სტატუს კვოს შეცვლის ან ტაივანის სრუტეზე მშვიდობისა და სტაბილურობის ძირის გამოთხრის ცალმხრივ ძალისხმევას.

* * *

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი 10 მილიონ დოლარამდე ოდენობის ჯილდოს აწესებს არჩევნებში რუსეთის სავარაუდო ჩარევის შესახებ ინფორმაციისთვის. „აშშ-ის არჩევნებში ჩარევის გამო, დეპარტამენტი ინფორმაციას ეძებს შპს „ინტერნეტის კვლევის სააგენტოს (IRA)“, ევგენი პრიგოჟინის, მათთან დაკავშირებული რუსული სუბიექტებისა და ასოცირებული პირების შესახებ“, - აღნიშნულია სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში. „ინტერნეტის კვლევის სააგენტო“, რომელიც რუსული ტროლების ფაბრიკადაა ცნობილი, სანკტ-პეტერბურგშია დაფუძნებული. აშშ-ის დაზვერვის წარმომადგენლების თქმით, IRA ცენტრალურ როლს თამაშობდა შეერთებული შტატების 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე გავლენის მოხდენაში.

* * *

ესტონეთი რუსეთის მოქალაქეებისთვის ქვეყანაში ბინადრობის დროებითი ნებართვისა და სასწავლო ვიზების გაცემას ზღუდავს. „აუცილებელია რუსეთზე უწყვეტი ზეწოლა სანქციების გზით. თუ სანქციები დაეხმარება რუსეთის აგრესიის დასრულებას, ეს დადებითად იმოქმედებს ჩვენს უსაფრთხოებაზეც. ეს ცვლილება ბოლოს მოუღებს იმ ვითარებას, როდესაც არსებული სანქციების გვერდის ავლით, ისინი ახერხებდნენ მოკლევადიანი ვიზის აღებას ევროკავშირის სხვა ქვეყანაში, მაგალითად, ტურიზმის მიზნით“, - განაცხადა ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ურმას რეინსალუმ. რუსეთის მოქალაქეები, რომლებმაც მიიღეს კანონიერი უფლება, დარჩნენ ევროკავშირის სხვა ქვეყანაში, ველარ შეძლებენ მოკლევადიანი სამუშაოს მიღებას ესტონეთში და, შესაბამისად, ვერ შეძლებენ გრძელვადიან სამუშაო ვიზაზე განაცხადის გაკეთებას.

* * *

ჩრდილოეთ კორეის ლიდერმა კიმ ჩენ ინმა განაცხადა, რომ ქვეყანა მზადაა, ბირთვული ომის შემაკავებელი ძალების მობილიზება მოახდინოს. როგორც მან აღნიშნა, ჩრდილოეთ კორეა აშშ-სთან ნებისმიერი სამხედრო დაპირისპირებისთვის სრულიად მზადაა. „ჩვენი შეიარაღებული ძალები საგულდაგულოდ მომზადებული არიან იმისათვის, რომ ნებისმიერ კრიზისს უპასუხონ. ჩვენი ერის ბირთვული ომის შემაკავებელი ძალებიც ასევე სრულად მზად არის ზუსტი და ოპერატიული მობილიზებისთვის“, - განაცხადა კიმ ჩენ ინმა.

**მოამზადა
ია შველიძე**

# კომიტეტის გასვლით სხდომაზე...

ნანა აბულაძე 591 98 59 17

*აჭარის საკანონმდებლო ორგანოში საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელზეც აჭარის ჯანდაცვის მინისტრმა ნინო ნიჟარაძემ სამინისტროს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ასევე ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის 2022 წლის პროგრამების მიმდინარეობისა და გამოწვევების შესახებ მოხსენება წარადგინა*

მინისტრის ინფორმაციით, წელს აჭარის ჯანდაცვის სამინისტრო პროგრამებს გაზრდილი ბიუჯეტით ახორციელებს. უწყების ფინანსური დოკუმენტი 28 907 795 ლარს შეადგენს. ნინო ნიჟარაძის განცხადებით, სამინისტრო, საქვეუწყებო დაწესებულებებთან ერთად, 36 მიზნობრივ პროგრამას ახორციელებს. ფინანსდება ისეთი ძვირად ღირებული სამედიცინო მომსახურებები, როგორიცაა ღვიძლის, ძვლის ტვინისა და გულის ტრანსპლანტაცია. სამინისტრო ფარავს ონკოლოგიურ პაციენტთა ძვირად ღირებულ მედიკამენტოზურ მომსახურებასაც.

- მინდა თქვენი ყურადღება სამინისტროს მიერ განხორციელებულ რამდენიმე მნიშვნელოვან პროგრამაზე შევაჩერო. აღსანიშნავია, რომ წელს დაიწყო იდიოპათიური მაანკილოზირებელი სპონდილიტით, ფსორიაზითა და ფსორიაზული ართრიტით დაავადებული პაციენტების მკურნალობის დაფინანსება ძვირად ღირებული ბიოლოგიური მედიკამენტებით, გაიზარდა გაფანტული სკლეროზით დაავადებულ პაციენტთა ძვირად ღირებული მედიკამენტების დაფინანსების პროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა. დაიწყო ძვლის ტვინის ჰაპლოიდური ტრანსპლანტაციის დაფინანსება, გაიზარდა ძვლის ტვინის ალოგენური ტრანსპლანტაციის დაფინანსება, გაიზარდა ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული პაციენტების მკურნალობისათვის საჭირო სიმსივნის საწინააღმდეგო მედიკამენტების დაფინანსების წლიური ლიმიტი და შეიცვლება დაფინანსების მეთოდოლოგია. აღსანიშნავია ისიც, რომ გაიზარდა იმ სამედიცინო მომსახურების დაფინანსების პროცენტული წილი, რომელიც საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით არ ფინანსირდება. გაიზარდა საზღვარგარეთ მკურნალობის თანადაფინანსების, ინდივიდუალური სამედიცინო დახმარებისა და სახსრების ენდოპროთეზირების პროგრამების ბიუჯეტიც. რაც შეეხება ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამას, ნაცვლად 25 ათასი ლარისა, აღნიშნული კატეგორიის ოჯახები ფინანსდებიან 30 ათასი ლარით. მიმდინარე წლის ივლისის თვიდან სამინისტრომ დაიწყო უშვილო წყვილების დიაგნოსტიკის და მკურნალობის პროგრამის განხორციელება. ჩვენ მუდმივად ვმუშაობთ იმისათვის, რომ სამინისტროს მიერ შემუშავებული მიზნობრივი პროგრამები მაქსიმალურად პასუხობდეს მოსახლეობის მოთხოვნებსა და საჭიროებებს, - განაცხადა აჭარის ჯანდაცვის მინისტრმა.

ნინო ნიჟარაძის ინფორმაციით, სამინისტროს 2023 წლის ბიუჯეტი მიმდინარე წელთან შედარებით 6,7%-ით გაიზრდება და 31 011 000 ლარი იქნება.

კომიტეტის გასვლით სხდომას პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის წევრი დავით სერგეენკო, ამავე კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ზაალ მიქელაძე, კომიტეტის წევრი ზაზა ლომინაძე, საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე თამარ გაბუნია, ასევე, უმაღლესი საბჭოს დეპუტატები და აჭარის ჯანდაცვის მინისტრის მოადგილეები ესწრებოდნენ.



- ყოველდღიურ რეჟიმში ძალიან მჭიდროა თანამშრომლობა ჯანდაცვის სამინისტროსა და აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს გუნდს შორის იმისთვის, რომ პროგრამები იყოს კოორდინირებული და რესურსი მოხმარდეს პაციენტების რეალურ საჭიროებებს. სამომავლო გეგმაში არის საყოველთაო პროგრამის ფარგლებში რეაბილიტაციის პროგრამების, ასევე კიბოს ადრეული დიაგნოსტიკის გაფართოება, რაც აჭარაში უკვე დაწყებულია, რამდენიმე წელია წარმატებით მიმდინარეობს ინოვატორული მედიკამენტების დანერგვა კიბოს სამკურნალოდ და ამის გაფართოება იგეგმება ქვეყნის მასშტაბით, რაც აჭარას შესაძლებლობას მისცემს, გამოთავისუფლებული რესურსის სხვა მიმართულებითაც გამოიყენოს. ასევე, მნიშვნელოვანია იმ ძირითადი რეფორმების ხელშეწყობა, რაც მიმდინარეობს პირველადი ჯანდაცვის მიმართულებით, რადგან მაღალმთიან რეგიონებში მოსახლეობას ჰქონდეს შესაფერისი ხელმისაწვდომობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პედიატრიული ასაკის მოსახლეობის დაცვა როგორც სოციალური სერვისების, ასევე ჯანდაცვის პროგრამების კუთხით. 2-დან 6 წლამდე ბავშვთა მეთვალყურეობის პროგრამა აჭარიდან დაიწყო და კიდევ მეტად გაფართოვდება. აღნიშნულ შეხვედრაზე სწორედ ამ საკითხებზე ვიმსჯელეთ, რომ მომავალი წლის პროგრამები დაიგეგმოს მეტად კოორდინირებულად და უკეთ მოხდეს მოსახლეობის საჭიროებების სრულად მოცვა, - განაცხადა საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილე თამარ გაბუნიამ.

აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს მუშაობა, მიმდინარე, დაგეგმილი თუ უკვე განსახორციელებელი პროგრამები დადებითად შეაფასა საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ და აჭარის ჯანდაცვის ყოფილმა მინისტრმა ზაალ მიქელაძემ. მისი თქმით, მართალია არსებობს გამოწვევები, მაგრამ უწყება ძალიან კარგად ართმევს ყველა მათგანს თავს, ყოველწლიურად ისწრაფვის იქითკენ, რომ მოსახლეობისთვის ჯანდაცვა ყველა მიმართულებით უფრო ხელმისაწვდომი გახადოს.

- საქართველოს პარლამენტის საზედამხედველო ფუნქციის ფარგლებში, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის კომიტეტი პერიოდულად ატარებს გასვლით სამუშაო შეხვედრებს, ამჯერად აჭარის უმაღლეს საბჭოში გაიმართა მორიგი შეხვედრა, სადაც მოვისმინეთ რეგიონის ჯანდაცვის სამინისტროს როგორც ჯანმრთელობის, ისე სოციალური მიმართულების პროგრამები, მასში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და დასაქმების სააგენტოს მიმდინარე პროგრამები და, რა თქმა უნდა, გამოწვევები. მინისტრისგან მოვისმინეთ განხორციელებული და დაგეგმილი პროგრამები, პრიორიტეტები. შეხვედრაზე ასევე იყო დისკუსია, რომელიც ეხებოდა ქრონიკული დაავადებების ზედამხედველობასა და მათი მედიკამენტებით უზრუნველყოფას, ასევე, ერთ-ერთ პრობლემატურ საკითხს - საზღვარგარეთ მკურნალობას. აღსანიშნავია, რომ გარკვეული წლების წინ, ადამიანების საკმაოდ დიდი ნაკადი მოდიოდა თხოვნით და საკმაოდ დიდი ფინანსური მოცულობის გადარიცხვები გვიწევდა ქვეყნის გარეთ. მაგალითად, კარდიოქირურგიის და ანგიოქირურგიის კუთხით. განვითარდა რა ტექნოლოგიები ჩვენს ქვეყანაში, მიმწოდებლები გაჩნდა არა მხოლოდ დედაქალაქში, არამედ რეგიონებში და მათ შორის ბათუმი გახდა ამ მიმართულებით ერთ-ერთი საინტერესო და საკმაოდ ეფექტური მიმწოდებელი. აქედან გამომდინარე, ჯერ კიდევ ჩემი მინისტრობის დროს, განსაკუთრებით კი ბოლო პერიოდში, აღარავინ გვთხოვდა ამ მიმართულებით დაფინანსებას ქვეყნის გარეთ. ანალოგიური მდგომარეობა იყო ღვიძლის ტრანსპლანტაციაზეც, მაგრამ გაჩნდა ეს სერვისი ქვეყნის შიგნით და შეიძლება ითქვას, მოსახლეობის 80 პროცენტი, ვისაც აღნიშნული ოპერაცია ესაჭიროება, აქ რჩება და აქ იკეთებს იმის მიუხედავად, რომ ჩვენი პროგრამა არ ზღუდავს მოქალაქეს, დაფინანსება წაიღოს ქვეყნის გარეთ. ჯანდაცვის სამინისტროს მიზანია, ნებისმიერი მოქალაქე მაქსიმალურად იყოს დაცული ფინანსური რისკებისაგან, ასევე ადგილობრივ მომწოდებლებს მივცეთ საშუალება, დახვეწონ და განავითარონ ტექნოლოგიები, ჰყავდეთ კვალიფიციური კადრები, რათა ჩვენს ქვეყანაშივე მოვახერხოთ და უზრუნველვყოთ ყველა იმ სერვისის მიწოდება, რაც ჩვენს მოქალაქეებს ჯანდაცვის მიმართულებით ესაჭიროებათ, - აღნიშნა ზაალ მიქელაძემ.

# ბათუმის ბიუჯეტი 38 მილიონ 252 ათასი ლარით გაიზარდა

მანანა ტაკიძე 577 10 15 17

***რამდენიმე დღის წინ ბათუმის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოში საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა, სადაც მიმდინარე წლის ბიუჯეტის ცვლილებები დამტკიცდა. ბათუმის ბიუჯეტი 38 მილიონ 252 ათასი ლარით გაიზარდა და 292 მილიონ 300 ათასი ლარი შეადგინა***

*უფრო დეტალურად სხდომის შესახებ საკრებულოს წევრი **ნინო ცხვარაძე** გვესაუბრება.*

- როგორც იცით, 4 ივლისიდან უშვილობის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა ამოქმედდა. ჩვენ, პარალელურად, დავიწყეთ ფიქრი, რა შეგვეძლო გაგვეკეთებინა იმ ბათუმელი წყვილებისთვის, რომლებიც სახელმწიფო პროგრამით ვერ ისარგებლებდნენ. ქალბატონ ნატალია ძიძიგურთან ერთად, მოლაპარაკებები ვაწარმოეთ ამ დარგში წამყვან კლინიკა „ბირთთან“, რომელიც საქართველოს და ისრაელის ჯანდაცვის სამინისტროების მიერ ავტორიზებული ერთადერთი კლინიკაა და იცით, ალბათ, მედიცინა ისრაელში რა დონეზეა. ჩვენი შუამდგომლობით, კლინიკის დამფუძნებელი ლევ ადიროვიჩი ბათუმელ უშვილო წყვილებს, რომლებიც სახელმწიფო პროგრამით ვერ ისარგებლებენ, ქართულ-ებრაული ფონდიდან სამედიცინო მომსახურების საფასურის 25 პროცენტით დააფინანსებს. ჯანდაცვის მიმართულებით ბათუმის კორექტირებულ ბიუჯეტში სოლიდური თანხებია გათვალისწინებული. არსებული პროგრამების გარდა, რამდენიმე სიახლესაც სთავაზობს მერია ბათუმელებს, თუმცა, სამწუხაროდ, მედიასაშუალებები ამ სიახლეებზე ყურადღებას არ ამახვილებენ. ვფიქრობ, მოსახლეობისთვის უფრო მნიშვნელოვანი ამ სასიკეთო სიახლეების ცოდნაა, ვიდრე ჩემი ან მმართველი გუნდის რომელიმე ოპონენტის პოლემიკა. რა თქმა უნდა, პოლიტიკური განცხადებები ან რეპლიკები უნდა გაშუქდეს, მაგრამ, მთავარი აქცენტი იმაზე კი არ უნდა გაკეთდეს, რომ სხდომა ხმაურიანი იყო და ურთიერთშელაპარაკების ფონზე წარიმართა, არამედ იმაზე, რაც მოსახლეობის კეთილდღეობისათვის არის მნიშვნელოვანი.



**- რა სიახლეებზე საუბრობთ?**

- აგვისტოდან ბათუმის მერია იწყებს გულის ან კორონარული არტერიების გეგმური ანგიოგრაფიის და მაღალტექნოლოგიური ამბულატორიული კვლევების თანადაფინანსებას. პროგრამით ისარგებლებენ ბენეფიციარები, რომელთა ხელფასი ნაკლებია 1000 ლარზე. როგორც აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს პროგრამები, ისე მერიის ახალი პროგრამები ვაუჩერული პრინციპით დაფინანსდება და პაციენტს მომსახურების მიღება მისთვის სასურველ კლინიკაში შეეძლება. იცით, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ერთ-ერთ სამედიცინო დაწესებულებაში ვმუშაობდი და ჩემთვის ძალიან კარგად ნაცნობია ეს თემა, ადამიანებს ესაჭიროებოდათ შესაბამისი სამედიცინო მომსახურება, თუმცა ფინანსების მოძიება უჭირდათ. ეს პროგრამა შეღავათს მისცემს ჩვენს მოსახლეობას. ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ „ქართული ოცნება“ არის ის ხელისუფლება, რომლისთვისაც ადამიანი უპირველესი საზრუნავია.

**- საკრებულოს სხდომაზე ხმაურს გვერდს ვერ ავუვლით, იყო საკითხები, რასაც სამოქალაქო სექტორი აპროტესტებდა, მათ შორის, „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის“ დამტკიცებას.**

- ფიცის მწამს, ბოლო მაკვირვებსო... სწორედ ასე სჭირთ ჩვენს ოპონენტებს. მაშინ, როცა ძალიან ბევრი ოჯახი საფრთხის შემცველ პირობებში ცხოვრობს და ხელისუფლება ამ ადამიანებისთვის შესაბამისი საცხოვრებელი პირობების შექმნაზეა ორიენტირებული, მმართველ გუნდს მავანი უწუნებს გადაწყვეტილებას, თუმცა, მოსახლეობას საფრთხე თუ შეექმნება, სამოქალაქო სექტორი თითს სწორედ ხელისუფლებისკენ გაიშვერს... წესი, რომელიც საკრებულომ დაამტკიცა, შესაძლებელს ხდის ახალი, თანამედროვე ტიპის საცხოვრებელი სახლებით ავარიული საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლებას, რითაც დაკმაყოფილებული იქნება მასში მცხოვრები მოსახლეობა. წესის შესაბამისად, ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების პროგრამაში შესაძლებელია ჩაერთონ მხოლოდ ის ამხანაგობები, რომელთა წევრების 100 პროცენტი განაცხადებს თანხმობას პროგრამაში ჩართვაზე. მიღებული ცვლილების მიხედვით კი, არ იქნება სავალდებულო 100-პროცენტიანი თანხმობა ისეთ შემთხვევაში, როდესაც ოჯახები განკარგულების ამოქმედებამდე მუნიციპალიტეტის მიერ უზრუნველყოფილი არიან ბინის ქირის კომპენსაციით, ასევე, ამ წესის შესაბამისად, გადაუდებელი აუცილებლობით, მოქალაქეები გაყვანილი იქნებიან ბინის ქირის კომპენსაციით მუნიციპალიტეტის მიერ. ასეთ შემთხვევაში, ეს ოჯახები შესაძლებელია დაკმაყოფილდნენ საცხოვრებელი ბინებით მუნიციპალური საბინაო ფონდიდან (მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საბინაო ფონდის რესურსის ფარგლებში), თუ მიღწეული იქნება შეთანხმება უძრავი ქონების მონაცვლეობის თაობაზე. წარმოდგენილი სახით განკარგულების მიღების მიზანია მუნიციპალური საბინაო ფონდის გამოყენებით საბიუჯეტო სახსრების დაზოგვა (ბინების გადაცემის შემთხვევაში ავტომატურად შეწყდება ბინის ქირის კომპენსაციის გაცემა).

**- ქალაქში მოუწესრიგებელ ინფრასტრუქტურაზე რას იტყვით?**

- ბათუმის ბიუჯეტი 38 მილიონ 252 ათასი ლარით გაიზარდა და 292 მილიონ 300 ათას ლარი შეადგინა. თანხები, ძირითადად, ინფრასტრუქტურის განვითარებასა და ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებზე დაიხარჯება. ქალაქი ცოცხალი ორგანიზმია და არც არის გასაკვირი, როცა ინფრასტრუქტურული სამუშაოები მიმდინარეობს. ქალაქის მერმაც არაერთხელ თქვა, რომ ჩვენი ქალაქის კლიმატიდან გამომდინარე, ინფრასტრუქტურული სამუშაოები ზაფხულში უნდა განხორციელდეს. მართალია, დისკომფორტს ქმნის ეს სამუშაოები, თუმცა, როცა სრულდება, შემდეგ ყველას მოსწონს.

**- ახალი მოწვევის საკრებულოსთვის 19 ივლისის სხდომა პირველი იყო, რომელსაც ქალაქის მერი არჩილ ჩიქოვანი ესწრებოდა.**

- ქალაქის მთავარი ფინანსური დოკუმენტი სხდომაზე სწორედ ქალაქის მერმა წარმოადგინა და არა მხოლოდ ბიუჯეტის ირგვლივ, ყველა კითხვასაც ამომწურავი პასუხი გასცა. მოსახლეობას არჩილ ჩიქოვანთან კომუნიკაციის პრობლემა არ აქვს, მერი მუდმივად ხვდება მათ, თუმცა, ოპოზიციას მაინც აქვს უსაფუძვლო პრეტენზიები. სხდომაზე არაერთხელ გააჟღერეს, რომ მერთან ვერ ახერხებენ შეხვედრას, რაც სიცრუეა. დიახ, არჩილ ჩიქოვანის კაბინეტის კარი ყოველთვის ღიაა ნებისმიერი ბათუმელისთვის! დაბოლოს, მინდა თქვენთანაც გავიმეორო, ის რაც 19 ივლისის სხდომაზე ვთქვი. წლების განმავლობაში საკრებულოს სხდომებს ჟურნალისტის ამპლუაში ვესწრებოდი და უკანა რიგებიდან არ არის კარგი სანახავი არც სიტყვიერი დაპირისპირება და არც უსაფუძვლო ბრალდებების მოსმენა. ჩვენ მოსახლეობამ ერთმანეთისთვის შეურაცხყოფის მისაყენებლად კი არ გამოგვიცხადა ნდობა, იმიტომ აგვირჩიეს, რომ მათი პრობლემები შევისწავლოთ, მივაწოდოთ შესაბამის სამსახურებს და ამ პრობლემების გადაჭრის გზებზე ვიფიქროთ.

# ბათუმში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების ნაწილი 2022 წლის ბოლომდე დასრულდება

ფიქრია დავლაძე 597 25 25 72

*ბათუმში ინფრასტრუქტურული სამუშაოები ერთდროულად რამდენიმე ლოკაციაზე მიმდინარეობს. ზაფხულის სეზონის დადგომასთან ერთად, ამ მიმართულებით ღონისძიებების ჩატარება მეტად აქტუალური ხდება. როგორც გაზეთ „აჭარასთან“ საუბრისას მერიაში განაცხადეს, ქალაქისთვის დამახასიათებელ კლიმატურ პირობებში, შეუძლებელია ქუჩებისა და გზების რეაბილიტაცია წელიწადის სხვა პერიოდში ხარისხიანად შესრულდეს. მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებთან დაკავშირებით, ბათუმის მერიის საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს დირექტორი* ***აკაკი ბერიძე*** *გვესაუბრა.*



**- ბატონო აკაკი, ამ ეტაპზე, სად მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული სამუშაოები?**

- ბათუმში აქტიურად მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული სამუშაოები არაერთი მიმართულებით, მაგალითად: საგზაო-სარეაბილიტაციო სამუშაოებია ფარნავაზ მეფის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, ასევე, შარაშიძის ქუჩის პირველ და მეორე ჩიხში, ტბეთისა და გენერალ ასლან აბაშიძის ქუჩებზე. ტბეთის ქუჩაზე უკვე დასრულდა როგორც სანიაღვრე, ასევე სავალი ნაწილის კეთილმოწყობა. სამუშაოები მიმდინარეობს კობალაძის ქუჩაზე, აქაც პირველ ეტაპზე განახლდება სანიაღვრე სისტემა, რის შემდეგაც დაიგება ასფალტი. როგორც კი კობალაძის ქუჩაზე ხიმშიაშვილის ქუჩიდან „ვოქსის“ წრიულამდე სამუშაოები დასრულდება, გადავალთ წრიულთან უსაფრთხოების კუნძულების მოწყობაზე. ეს არის დაახლოებით ნახევარი მილიონი ლარის პროექტი, რომელიც ქალაქისთვის უმნიშვნელოვანესია, რადგან ტერიტორია ერთ-ერთი ცენტრალური კვანძია დატვირთვის კუთხით. აღნიშნული ინფრასტრუქტურული პროექტი მნიშვნელოვნად განტვირთავს ტერიტორიას ავტომობილებისგან. სამუშაოები მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება.

**- რომ განგვიმარტოთ, რა არის უსაფრთხოების კუნძული?**

- მოწყობილი იქნება რამდენიმე კუნძული, რომელიც ავტოსატრანსპორტო საშუალებებს მისცემს მიმართულებას. გამწვანებული კუნძულები დაახლოებით ისეთივე იქნება, როგორიცაა, მაგალითად, ბარათაშვილის ქუჩაზე.

**- ცნობილია, რომ გონიოს მიმდებარედაც ჩატარდება ინფრასტრუქტურული სამუშაოები. კონკრეტულად რა იგეგმება?**

- ესაა გეზის პროექტი, რომელიც უმნიშვნელოვანესია და სადაც 13 მილიონი ლარი დაიხარჯება. მოეწყობა 10 კილომეტრამდე გზა. შესაბამისად, ინდუსტრიულ ზონაში გაჩნდება ახალი კეთილმოწყობილი გზები, თავისი საკანალიზაციო სისტემებით, გარე განათებებით. ბიზნესისთვისაც მიმზიდველი იქნება და განვითარდება ეს კონკრეტული ლოკაცია, სადაც ამ ეტაპზე არანაირი ინფრასტრუქტურა არ არსებობს.

**- სარეაბილიტაციო სამუშაოები მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად ხორციელდება თუ შესაბამისი სამსახურების ჩართულობით და გადაწყვეტილებით?**

- ფარნავაზ მეფის ქუჩაზე მოსახლეობამ მოითხოვა ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩატარება. მათი სურვილი იყო იმ ქვაფენილის აყრა, რომელიც სატრანსპორტო საშუალებებისთვის არ არის გათვალისწინებული და მის ნაცვლად ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა. აღნიშნული ქვაფენილის მოვლა-შენახვის სამუშაოები არაპროპორციული იყო იმ შედეგისა, რასაც ვიღებდით ყოველ გაწვიმებაზე, სანიაღვრე ქსელებში ხდებოდა ჩადინება მასის და გაჭედვა. აქედან გამომდინარე, მოხდა ამ გადაწყვეტილების მიღება. ასევე, კობალაძის ქუჩაზეც ანალოგიური მოთხოვნა იყო, ძირითად შემთხვევაში, მოსახლეობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ვატარებთ სამუშაოებს. რისი შესაძლებლობაც გვაქვს, ვახდენთ რეაგირებას.

**- ყოველი გაწვიმებისას ქალაქში იქმნება პრობლემები, დგება დიდი რაოდენობის წყალი ქუჩებში. როდის მოგვარდება ეს პრობლემა ქალაქში?**

- სადაც ახალი სამუშაოებია ჩატარებული, ყველგან იცვლება სანიაღვრე სისტემები და მონტაჟდება ახალი მილები. პარალელურად, ვმუშაობთ პროექტზე ვარშანიძისა და სულაბერიძის ქუჩების კვეთიდან ხახულის ქუჩის კვეთამდე. ჩატარდება სრულმასშტაბიანი რეაბილიტაცია. აქ მთელ ქუჩაზე შეიცვლება სანიაღვრე ქსელი. იგეგმება ხახულის ე. წ. დიდი არხის ფერდსამაგრი და ნაპირსამაგრი კედლების მოწყობა. ეს ქუჩა განტვირთავს წყლის დიდ ნაკადს. სამ ნაწილად მოხდება მთიდან ჩამოსული წყლების გადანაწილება და დიდ შეღავათს მიიღებს ქალაქის სანიაღვრე სისტემა. ფაქტობრივად მოხსნის ყველაზე დიდ პრობლემას. ყოველ ახალ რეაბილიტირებულ ქუჩაზე გავითვალისწინებთ ახალ სანიაღვრე ქსელებს, გაკეთდება ახალი სატუმბი სადგურები და ეტაპობრივად ამოიწურება ეს პრობლემაც. რამდენიმე ლოკაციაზე, სადაც დატბორვის პრობლემა იყო, სამუშაოები დასრულებულია. შარშან სულაბერიძის ქუჩაზე შეიცვალა სანიაღვრე არხი. გეგმაში გვაქვს სულაბერიძის ქუჩიდან გიორგი ბრწყინვალის ქუჩის გავლით, ჯორჯიაშვილზე, ზღვაში გამსვლელი არხი თავიდან ბოლომდე შევცვალოთ, რაც ასევე მოაგვარებს ძალიან დიდ პრობლემას.

**- წლებია ოპოზიციას აქვს მოთხოვნა, ბარცხანის ქუჩის მიმდებარედ, ცენტრალურ გზაზე, მოეწყოს გადასასვლელი ხიდი. 19 ივლისს საკრებულოს სხდომაზეც იყო დასმული ეს კითხვა. იქნება თუ არა გათვალისწინებული მათი მოთხოვნა და რამდენად შესაძლებელია ტერიტორიაზე გადასასვლელი ხიდის მოწყობა?**

- პერიოდულად ჩვენ გვაქვს ორმული შეკეთების პროგრამები, ამ ღონისძიების ფარგლებში უდიდესი რესურსი იხარჯება განთიადის ხიდიდან „ბენზე“-ბარცხანის ცენტრალურ გზამდე არსებულ მონაკვეთზე, ასევე, აქედან შაფათავას ქუჩამდე. ძალიან დიდი საბიუჯეტო სახსრები ჭირდება თავიდან ბოლომდე რეაბილიტაციას. აღნიშნული გზა ნაწილობრივ ირიცხება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ბალანსზე და უწყებასთან შეთანხმებით იგეგმება ერთიანი პროექტის შემუშავება, რომელიც მოიცავს როგორც გადასასვლელი ხიდების მშენებლობას, ასევე, მის ქვემოთ საგზაო ინფრასტრუქტურის შეცვლასაც. წინამოსამზადებელი სამუშაოები დაწყებულია და როგორც კი ერთ სრულმასშტაბიან პროექტს მივიღებთ, ბიუჯეტში აუცილებლად მოხდება მისი გათვალისწინება. შესაბამისად, მიმდინარე წელს ვერანაირად ვერ შევძლებთ ამის განხორციელებას.

**- როგორც ვიცით, ავარიული ბინების ახლით ჩანაცვლების სამუშაოები დაიწყო...**

- გრიშაშვილის ქუჩის 9 ნომერი ერთ-ერთი პირველი პროექტია, რომელიც ავარიული სახლების პროგრამაშია. 24 ოჯახი ცხოვრობდა ამორტიზებულ შენობაში. მოსახლეობასთან შედგა მოლაპარაკება, მათი თანხმობით დავშალეთ აღნიშნული ბარაკი. მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები, პირველი ეტაპი დასრულებულია და გადასული ვართ მეორე ეტაპზე. დემონტაჟი განხორციელებულია, დაწყებულია მუშაობა და მომავალი წლის მარტის ბოლომდე მივიღებთ ახალ, კეთილმოწყობილ კორპუსს. მოსახლეობა ქირითაა გაყვანილი, რაც ბათუმის მერიამ უზრუნველყო.

**- თამარის დასახლებაში, ბარაკული ტიპის №22 სახლში მცხოვრები მოსახლეობაც ითხოვს ახალი საცხოვრისებით დაკმაყოფილებას, არიან თუ არა ისინი პროგრამაში გათვალისწინებულები?**

- აღნიშნულ ბარაკთან დაკავშირებით დავალება მიცემული აქვს კომისიას, რომელმაც უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. რა თქმა უნდა, ბარაკი ექვემდებარება დემონტაჟს, ხალხისთვის ბინების გადაცემაც იგეგმება. შენდება 5-სართულიანი კორპუსი და შესაძლებელია ბინები გათვალისწინებული იქნეს ამ მოსახლეობისთვისაც. თუ გრიშაშვილის 9 ნომერში გადაწყდა ქონების შეთავაზება, თავისთავად გადავლენ ან მოხდება ბარაკის დემონტაჟი და ამავე ადგილას ახალი სახლი აშენდება.

**- სულ რამდენი კორპუსი ექვემდებარება დემონტაჟს და რამდენს ჩაუტარდება რეაბილიტაცია?**

- 120-მდე ექსპერტიზის დასკვნა გვაქვს, სადაც წერია, რომ სახლების ნაწილი ექვემდებარება გამაგრებას, ნაწილი კი დემონტაჟს. ასევე, ზოგიერთთან დაკავშირება, საპროექტო ორგანიზაციამ უნდა გათვალოს და დაადგინოს, რას დაექვემდებარება - დემონტაჟს თუ გამაგრებას. აქედან გამომდინარე, კონკრეტული ციფრის თქმა შეუძლებელია. ამ ეტაპზე 4 კონკრეტული მისამართია. აქედან, გრიშაშვილის ქუჩაზე, ხელვაჩაურში-კვინიტაძის 1,3, და 11 ნომრებში და 26 მაისის ქუჩაზე ჩამონგრეული სახლის დემონტაჟი უკვე განხორციელებულია და დაწყებულია ახალი სახლის საპროექტო სამუშაოები. ამ ტენდერის ფარგლებში დაკმაყოფილდება 40 ოჯახი, ასევე, საბინაო ფონდში იქნება საცხოვრისები, რომლებიც გადაეცემათ იგივე, პრობლემის მქონე ადამიანებს. ე. წ. შანხაის დასახლება იცით, რომ არის ბონში, სადაც 145-მდე ოჯახი ცხოვრობს ავარიულ ნაგებობებში. ჩვენ 33 მილიონი ლარის პროექტი შევიძინეთ. დაიშლება ავარიული ნაგებობები და აშენდება ორი რვასართულიანი კორპუსი. თითო კორპუსში 162 ბინა იქნება. ერთი კორპუსით დაკმაყოფილდებიან აღნიშნულ ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახები, ხოლო მეორე ამავე პრობლემის მქონე ოჯახებისთვის იქნება გათვალისწინებული, რომლებიც სხვა ტერიტორიაზე ცხოვრობენ. მომავალ კვირაში გამოცხადდება ტენდერი და ორი წლის განმავლობაში კორპუსები აშენდება.

**- როგორც ვიცით, რამდენიმე ახალი ბაღიც შეემატება ქალაქს. ხომ არ იგეგმება არსებულის რეაბილიტაციაც?**

- მიმდინარე წელს დასრულდება ოთხი ახალი ბაღის მშენებლობა. კერძოდ, ბაგრატიონის ქუჩაზე, ბარცხანაში, ჩაქვსა და ლერმონტოვის ქუჩაზე. ოთხივე დაწესებულება წელსვე მიიღებს აღსაზრდელებს. თითოეული 280 ბავშვზეა გათვლილი, პარალელურად კი 5 არსებული საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია-გამაგრების სამუშაოები გვაქვს დაგეგმილი. სარეაბილიტაციო ბაღებს რაც შეეხება, თამარის დასახლებაში, ურეხში, ასევე, ტაბიძის და ვაჟა-ფშაველას ქუჩებზე მდებარეობს.

**- სპორტული მოედნებისა და სკვერების მოწყობაზე რას გვეტყვით?**

- გვაქვს რამდენიმე ქუჩაზე, თუმცა დამატებით იგეგმება 11 სკვერის მოწყობა, რაც მოიცავს გამწვანებას, ფილების დაგებას, სპორტული მოედნისა და საბავშვო ატრაქციონების მოწყობას. ტაბიძის პირველ ჩიხში სკვერის მოწყობა იქ მცხოვრებთა მოთხოვნიდან გამომდინარე დაიგეგმა. ქეთევან წამებულის ქუჩაზე, სადაც არანაირი სივრცე არ არსებობს ბავშვებისთვის, ვგეგმავთ, ასევე, შევქმნათ შესაბამისი გარემო. ეს პირველი სივრცე იქნება, რომელსაც წელსვე დავასრულებთ. ხელვაჩაურში ოთხ ლოკაციაზე მოეწყობა სკვერი, რაც დაახლოებით მილიონ 700 000 ლარის ღირებულების სამუშაოებს ითვალისწინებს, ასევე, ადლიაშიც. სხვა მცირე სკვერებიც მოეწყობა, იგეგმება არსებულის რეაბილიტაციაც. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა ე. წ. ბენზეს დასახლებაში, რასაც დიდი ხანია მოსახლეობა ითხოვს, შიდასაგზაო ქსელის მოპირკეთებაა და ესეც უახლოეს პერიოდში განხორციელდება. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მხარდასაჭერად სახურავების პროგრამა განხორციელდება, მოეწყობა ლიფტები, პანდუსები, რომელიც წელსვე დასრულდება. 49 მისამართზე ახალ ლიფტს დავამონტაჟებთ. წელს 11 ლიფტის მოწყობა მოესწრება, ხოლო დანარჩენს მომდევნო წელს დავასრულებთ. ატრაქციონებს განვათავსებთ, ეზოებში ასფალტი დაიგება. კიდევ ერთი მოთხოვნა, რაც არის მოსახლეობისგან, კორპუსების კედლების წვიმის წყლისგან დაცვაა. სწორედ საწვიმარ მხარეებზე ლითონის ფურცლების აკვრას განვახორციელებთ, ეს უკანასკნელი მოაგვარებს ყველაზე დიდ პრობლემას, რაც ჩვენს თანამოქალაქეებს ყველა სეზონზე აწუხებდათ.

## უკრაინა

ქალაქ ხარკოვის მერის იგორ ტერეხოვის ინფორმაციით, რუსი დამპყრობლები 29 ივლისს, გამთენიისას, 04:09 საათზე ხარკოვის ცენტრალურ ნაწილს დაესხნენ თავს. მისივე თქმით, რუსებმა ქალაქში 2 ბომბი ჩამოაგდეს. ერთ-ერთი 2-სართულიან სახლს მოხვდა. მაშველები ნანგრევებიდან გადარჩენილების ამოყვანას ცდილობენ. მეორე ბომბი ხარკოვის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელს მოხვდა. დაშავებულების ან დაღუპულების შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება.

* * *

ომის შემსწავლელი ინსტიტუტის განცხადებით, რუსეთმა უახლოეს მომავალში შეიძლება სევერსკიში შეჭრის ინტენსივობა შეამციროს, რათა ბახმუტზე ფოკუსირდეს. ანგარიშის მიხედვით, რუსული ჯარები განაგრძობდნენ ჩრდილოეთით ბახმუტისკენ სვლას ნოვოლუგანსკის და უგლეგორსკის ჰიდროელექტროსადგურებში ახლახან დაკავებული ტერიტორიების შენარჩუნების მიზნით. ამერიკელი ექსპერტები აღნიშნავენ, რომ რუსული ძალები სევერსკის ირგვლივ მცირე მასშტაბის მიღწევებისთვის იბრძოდნენ და არ გადაუდგამთ რაიმე დადასტურებული ნაბიჯი ქალაქისკენ მას შემდეგ, რაც ივლისის დასაწყისში ლუგანსკის ოლქის ადმინისტრაციული საზღვარი დაიკავეს.

* * *

დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრო უკრაინაში არსებული ვითარების შესახებ უახლეს ინფორმაციას ავრცელებს, სადაც აღნიშნულია, რომ ფრონტის ხაზის კონკრეტულ მონაკვეთს რუსული კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერი“ აკონტროლებს, რადგან რუსეთს საბრძოლო ქვეითი ძალების დიდი დეფიციტი აქვს. „ეს მნიშვნელოვანი ცვლილებაა ჯგუფის წინა საქმიანობასთან შედარებით, რადგან ჯგუფი ჩართული იქნება ფართომასშტაბიან სამხედრო მოქმედებებში. მათი არმიაში ინტეგრაციის დონე კიდევ უფრო უთხრის ძირს რუსეთის ხელისუფლების მრავალწლიან პოლიტიკას „ვაგნერსა“ და რუსეთის სახელმწიფოს შორის კავშირების უარყოფის შესახებ“, - ნათქვამია განცხადებაში.

* * *

უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი აცხადებს, რომ მსოფლიოში არავინ დებს ტერორიზმში იმხელა ინვესტიციას, რამდენსაც რუსეთი. მისი თქმით, მხოლოდ დღის პირველ ნახევარში კიევში განგაშის სიგნალი 4-ჯერ ჩაირთო და რუსეთის არმიამ კიევის რეგიონზე სარაკეტო იერიშები განახორციელა. კვლავ გრძელდება იერიშები ნიკოლაევსა და დონბასზე. „მინდა მადლობა ვუთხრა ყველას, თითოეულ ადამიანს, ვინც ამ ტერორიზმის წინააღმდეგ იბრძვის. ასევე მინდა, მადლობა გადავუხადო ამერიკელ სენატორებს, რომლებმაც ერთხმად მიიღეს რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს სახელმწიფო დეპარტამენტს, აღიაროს რუსეთი, როგორც ტერორიზმის დამფინანსებელი სახელმწიფო“, - განაცხადა მან.

* * *

დონეცკის ოლქის ოკუპირებული ნაწილის პრორუსულმა „ბოევიკებმა“ 40 უკრაინელი სამხედრო ტყვის გარდაცვალების შესახებ განაცხადეს, რომლებიც ელენოვკას კოლონიაში იყვნენ განთავსებულები. მათივე ცნობით, გარდაცვლილთა შორის არიან „აზოვის“ მებრძოლები. დაშავებულია კიდევ 130 ადამიანი. რუსული მხარე სამხედროების დაღუპვას უკრაინის შეიარაღებულ ძალებს აბრალებს, თითქოს მათ კოლონიას „ჰაიმარსით“ დაარტყეს. უკრაინული მხარე ბრალდებას უარყოფს.

* * *

ლუგანსკის რეგიონალური სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, სერჰი გაიდაის თქმით, ლუგანსკი თითქმის მთლიანად არის ოკუპურებული რუსული ძალების მიერ. „ოკუპირებული ქალაქების ქუჩებში დაღუპულთა ცხედრები თვეების განმავლობაშია, ქუჩები სავსეა შენობების ნანგრევებით. არაერთი დაპირების მიუხედავად, ოკუპანტები მოსახლეობას წყალს, გაზს და ელექტროენერგიას არ აძლევენ. ახალგაზრდები, რომლებიც მტერს არ ეთანხმებიან, მიჰყავთ სარდაფში, სადაც მათ „ტვინს ურეცხავენ“, - აცხადებს ის.

**მოამზადა**
**ნაირა ფუტკარაძემ.**

# რეზო ვასაძე: ტყე ბიუჯეტის შევსების წყაროდ აქციეს

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14



*ჩვენი სტუმარია სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოს“ მავნებელ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის უფროსი, სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი, წმიდა გიორგი მთაწმინდელის ქართველოლოგიური კვლევების ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი* ***რეზო ვასაძე****.*

**- უმაღლესი განათლება ვორონეჟის სატყეო ტექნიკურ ინსტიტუტში მიიღეთ. ახლა რა ურთიერთობა გაკავშირებთ იმ ქვეყანასა და სასწავლებელთან?**

- დიახ, 1983 წელს ჩავირიცხე ვორონეჟის სატყეო ტექნიკურ ინსტიტუტში, სატყეო სამეურნეო ფაკულტეტზე და მისი დასრულების შემდეგ მომენიჭა მეტყევე ინჟინრის კვალიფიკაცია. ეს წლები ჩემთვის ძალიან ძვირფასი და საინტერესოა. აქტიურად ვიყავი ჩართული სამეცნიერო კონფერენციებში, სპორტსა და სხვა საქმიანობაში. 1986-1987 წლებში, როცა დიდი არეულობა დაიწყო ფერგანაში და ყარაბაღში, სტუდენტებს შორისაც ერთგვარი გაუგებარი ურთიერთობა ჩამოყალიბდა. წინადადებით მივმართე ინსტიტუტის რექტორატს, რომ ჩამოყალიბებულიყო ინსტიტუტში ეროვნული საბჭო, რომელიც კოორდინაციას გაუწევდა სხვადასხვა ერის სტუდენტებს შორის ურთიერთობებს. ჩემი წინადადება მოიწონეს და შეიქმნა ეროვნული საკოორდინაციო საბჭო, რომელსაც დაახლოებით ორი წელი ვხელმძღვანელობდი. მრავალი სხვადასხვა ეროვნების და თანამდებობის მეგობარი შევიძინე როგორც იმდროინდელი საბჭოთა რესპუბლიკებიდან, ასევე სხვა ქვეყნებიდან, რომლებთან ერთად ვსწავლობდი, ვმუშაობდი. ბევრ მათგანს Facebook-ის მეშვეობით დღესაც ვეხმიანები. ძალიან მწყდება გული, რომ ქვეყანას, სადაც მე განათლება მივიღე და ახალგაზრდობის წლები გავატარე, დღეს მსოფლიო ოკუპანტად იცნობს. ოკუპირებული აქვს ჩემი ქვეყნის 20 პროცენტი, უსამართლო ომი გამოუცხადა უკრაინას, უმოწყალოდ ხოცავს მშვიდობიან მოსახლეობას, გაანადგურა უკრაინის ქალაქები, ეკონომიკა და საფრთხე შეუქმნა ევროპისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებს, კავკასიას და მთელ მსოფლიოს. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ვორონეჟს 1993 წელს მეგობრების (კურსელების) თხოვნით ვესტუმრე. რა თქმა უნდა, ინსტიტუტშიც შევიარე. ლექტორ - მასწავლებლები, ვინც მასწავლიდა, ყველა დიდი სიმპათიით და სიყვარულით შემხვდა. ასპირანტურაში სწავლის გაგრძელება შემომთავაზეს, მაგრამ უკვე აღარ მსურდა რუსეთში სწავლის გაგრძელება.

**- ქვეყნისა და რეგიონისთვის ურთულეს წლებში სატყეო მეურნეობაში საქმიანობდით. საზოგადოებას კარგად ახსოვს თქვენი პრინციპული ბრძოლა არსებული ტყის რესურსების შესანარჩუნებლად.**

- გასული საუკუნის 90-იან წლებში ქვეყანაში არსებული ქაოსი ეროვნული მეურნეობის ყველა სფეროს შეეხო და უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა ქვეყნის ეკონომიკაზე, კულტურაზე, საზოგადოების სოციალურ მდგომარეობაზე. გამონაკლისი არც სატყეო სფერო იყო. უგულებელყოფილი იყო ტყის ექსპლუატაციის წესები, იგი გადაიქცა ბიუჯეტის შევსების წყაროდ. ზამთრის პერიოდშიც კი ბიუჯეტის შევსება ხე-ტყის რეალიზაციის ხარჯზე ხდებოდა, რამაც ხელი შეუწყო ეროზიული პროცესების განვითარებას და ეკომიგრაციას. ხე-ტყის გაჩეხვასთან დაკავშირებით, მედია ინფორმაციას ავრცელებდა, იბეჭდებოდა კრიტიკული წერილები... ყველაფერს მეტყევეს აბრალებდნენ, მაგრამ საზოგადოებამ კარგად იცოდა, რომ ამ დანაშაულის ჩამდენი მაღალჩინოსნები, თანამდებობის პირები იყვნენ ან კიდევ მათი მფარველობის ქვეშ მყოფი ბრაკონიერები. ბოლოს წავედი სატყეო სისტემიდან.

**- აკადემიური დოქტორის ხარისხის მოსაპოვებელი თემა რა იყო?**

- „აჭარის წიფლის ტყის ტიპები და ბიოლოგიური მრავალფეროვნება“. ხელმძღვანელი, აწ გარდაცვლილი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მერაბ სვანიძე გახლდათ, რომელიც ტყის ტიპოლოგიაში საერთაშორისო დონეზეა ცნობილი. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და პატივი მივაგო ვ. გულისაშვილის სახელობის სამთო მეტყევეობის ინსტიტუტის იმ ცნობილ მეცნიერებს, რომლებსაც დიდი წვლილი მიუძღვით ჩემს მეცნიერად აღზრდა-ჩამოყალიბებაში: გიორგი გიგაური, თენგიზ ურუშაძე, ნოდარ ტარასაშვილი, ჯუმბერ ლომიძე, თენგიზ ჯაფარიძე, ტარიელ ბახსოლიანი და სხვები. უფალმა ნათელში ამყოფოს მათი სულები.

**- ახლა რა კეთდება ტყის მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ საბრძოლველად?**

- სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოში“ 2014 წელს შეიქმნა ტყის მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის სამსახური, რომელიც კოორდინაციას უწევს აჭარის ტყის სანიტარიულ მდგომარეობას. შუახევის სატყეო ადმინისტრაციის შენობის პირველ სართულზე განთავსებულია ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ხელსაწყო-იარაღებით და მავნებელ-დაავადებების დროული გამოკვლევის და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების გატარების შესაძლებლობა გვეძლევა. ლაბორატორიაში გამოგვყავს ნაძვის დიდი ლაფანჭამიასა და ქერქიჭამიების წინააღმდეგ სასარგებლო მწერები რიზოფაგუსი და ფორმიკარუსი, ასევე, ჩვეულებრივი ანუ საჭმელი წაბლის გაჯანსაღების მიზნით შტამი, რომლის ინოკულაციას ვახდენთ ბუნებაში ინფექციური სოკოთი Cryphonectria parasitica დასახლებული წაბლის ქერქის ქვეშ.

**- ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდების დანერგვაზე რას იტყვით?**

- ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდის დანერგვა ძალზე მნიშვნელოვანია. აჭარის სუბტროპიკულ ზონაში არსებული ციტრუსოვანთა პლანტაციები თითქმის სამი ათეული წელია ჯეროვნად არ შეწამლულა. მიუხედავად ამისა, ციტრუსებზე გავრცელებული მავნებლების რაოდენობა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ აღემატება მავნეობის ეკონომიკურ ზღვარს, რაც იმ ენტომოფაგების დამსახურებაა, რომლებიც საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნიდან საქართველოში ათწლეულების წინ შემოიტანეს, აკლიმატიზებულია და გაშვებულია ბაღებში. სასათბურე მეურნეობაშიც მსგავსი მიდგომების დანერგვას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რათა შევარბილოთ ქიმიური პესტიციდების გავლენა პროდუქციაზე და მომზადდეს ფერმერებისათვის პრაქტიკული რეკომენდაციები სათბურებში ენტომოფაგების გამოყენებასთან დაკავშირებით.

**- რას მიეწერება ის წინააღმდეგობები, რომელიც გამხმარი წაბლის მერქნის გამოტანას მოჰყვა?**

- ჩვეულებრივი წაბლი გარკვეული სუბიექტური და ობიექტური მოსაზრების საფუძველზე, XX საუკუნის 70-იან წლებში შეიტანეს „საქართველოს წითელ წიგნში“, როგორც გაქრობის პირას მისული სახეობა, რითაც გამოირიცხა მიზნობრივი, ნორმალური სატყეო მეურნეობის წარმოება. დღეისათვის წაბლის ხეები ყველა დაავადებულია და გვხდება როგორც გაფანტული, ასევე ჯგუფურ-ადგილობრივი ტიპის ხმობა, მაგრამ ჩვენი დაკვირვებით, ეს ხმელი ტოტები ტყდება და მის ნაცვლად იზრდება ახალი, რომელიც მსხმოიარობს, მიმდინარეობს მოთესვა და აღმოცენება, ნაყოფი ასევე ვარგისია საჭმელად. წაბლი იბრძვის სიცოცხლის გადასარჩენად და ამასობაში, შედეგსაც ნაწილობრივ მიაღწია. თუმცა დროული და ნორმალური სატყეო სამეურნეო საქმიანობის გატარება აუცილებელია. ტყის ჭრა სანიტარიული მდგომარეობის მიზნით, სხვა დანარჩენ მეთოდებს შორის ერთ-ერთია, რადგან ცოცხალი ორგანიზმის თვისებაა, დაიბადოს, გაიზარდოს, დაბერდეს, მოკვდეს. ამ ციკლს ზოგიერთი ცოცხალი ორგანიზმი სრულყოფილად გაივლის, ზოგიერთი კი რომელიმე სტადიაში დაასრულებს სიცოცხლეს. მწიფე და გადაბერებულ ხეებს ვეგეტაციის სუსტი უნარი ახასიათებს, ვერ უწევს წინააღმდეგობას გარემო ფაქტორების ზემოქმედებას და მათზე იოლად სახლდება როგორც მავნე მწერები, ასევე სხვადასხვა სახის დაავადებები. თუ დროულად და სწორად არ გატარდა მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები და მასიური განვითარების საშუალება მიეცა, მაშინ მათ ცოცხალი ორგანიზმისთვის სასიკვდილო განაჩენი გამოაქვს.

**- სამსახურებრივ საქმიანობას აქტიურად უხამებთ უნივერსიტეტში მუშაობას. რა თემებზე მიგყავთ ლექციების კურსი?**

- პროფესიით პედაგოგი არ ვარ, მაგრამ ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ უწყვეტად ვასწავლი. ჯერ სკოლაში ვმუშაობდი რუსული ენის მასწავლებლად, შემდეგ კი უნივერსიტეტში ვკითხულობ ლექციას ჩემი სპეციალობით: მეტყევეობა, სატყეო ტაქსაცია. საქართველოს საპატრიარქოს მხარდაჭერითა და დაფინანსებით, ასევე სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსისა და წმინდა აბუსერისძე ტბელის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, მეუფე სპირიდონის, თვით რექტორატისა და ლექტორ-მასწავლებლების ინიციატივით და მხარდაჭერით, გამოვეცი წიგნი „სატყეო ტაქსაცია“, მეტყევე სპეციალისტებისთვის და უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისთვის. მადლობა მინდა ვუთხრა ყველას მხარდაჭერისა და დაფინანსებისთვის.

**- ამ ეტაპზე ტყის რესურსების მოვლა, დაცვა და აღდგენა როგორ მიმდინარეობს?**

- სატყეო სისტემის ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობა ტყის რესურსების მოვლა, დაცვა და აღდგენაა. სწორედ ესაა ჩვენი ფუნქცია და ვალდებულება, რომ დროული და სწორად გატარებული ღონისძიებების საფუძველზე და თავდაუზოგავი შრომით უზრუნველვყოთ გარემოს მრავალფეროვნების მდგრადი შენარჩუნება და განვითარება. აჭარის ფლორა მეტად მრავალფეროვანია. სწორედ ამ გამორჩეული მრავალფეროვნების გამო, ჩვენი ფლორისტული რაიონი ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირმა (IUCN) მსოფლიოს იმ 34 ცხელ წერტილთა ნუსხაში შეიტანა, რომლებიც ხასიათდებიან ყველაზე დიდი ბიოლოგიური მრავალფეროვნებითა და საფრთხეში მყოფი ხმელეთის ეკოსისტემების სიუხვით. ამავე დროს იგი ფიგურირებს მსოფლიოს ბიოლოგიური მრავალფეროვნების დონით უნიკალური და დაცვის საჭიროების თვალსაზრისით პრიორიტეტული 25 რეგიონის ნუსხაში. ამ მდიდარი მრავალფეროვნებისა და მდგრადობის შენარჩუნების მიზნით, ყველაფერი კეთდება სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოში“ და მუნიციპალიტეტის სატყეოებში, რომელსაც სრული მხარდაჭერა აქვს მთავრობის მხრიდან. სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში, 2013-2021 წლებში, დაახლოებით 1000 ჰექტარ ფართობზე განხორციელდა ტყის ბუნებრივი განახლების ხელშემწყობი ღონისძიებები, ხოლო სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოსა“ და ადმინისტრაციების მეტყევე სპეციალისტების ძალისხმევით განხორციელდა ტყის კულტურების ხელოვნური განაშენიანება 47 ჰექტარ ფართობზე, სანერგეები და სკოლა-პლანტაციები მოეწყო 12 ჰექტარზე.

**- აჭარის მთიანეთში ჭრაგაუვლელი კორომებია, მაგრამ მათი ათვისების, გზების გაყვანის ნაცვლად, გრძელდება ჭრები ისეთ კორომებში, რომლებიც ტურისტულ ლოკაციებს ეკვრის.**

- აჭარის სოფლები ჯერ კიდევ არ არის გაზიფიცირებული და შესაბამისად, დიდი მოთხოვნილებაა საშეშე და სამშენებლო ხე-ტყეზე. დაახლოებით 60-70 ათასი კუბური მეტრი მოცულობის ხე-ტყეს ითვისებს მოსახლეობა ყოველწლიურად და ამ მიზნით მიმდინარეობს სატყეო-სამეურნეო გზების მშენებლობა. 2013-2021 წლებში დაახლოებით 240 კილომეტრი ახალი გზაა გაყვანილი ტყეში და 1000 კილომეტრზე მეტია შეკეთებული. რაც შეეხება ჭრაგაუვლელ კორომებში ტყეკაფის გამოყოფას, ასეთი ფაქტები არ დასტურდება, თუ ეს რაიმე მიზეზით არ არის გამოწვეული. მაგალითად, წელს შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯაბნიძეების მიმდებარე წიწვოვან ტყეში სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სანიტარიული ჭრა, სადაც მანამდე ცული არ იყო შესული.

**- ხშირად ამბობენ: ხე ტყეშია დასაცავი. რამდენად მართებულია გარემოს დამცველთა პატრულირება ბათუმი-ახალციხის საავტომობილო მაგისტრალის აჭარისწყლის მონაკვეთზე?**

- ტყის დაცვა მხოლოდ მეტყევის საქმე არ არის, შეუძლებელია, რაც ნათლად დაინახა საზოგადოებამ გასული საუკუნის 90-იან წლებში. მიუხედავად იმისა, რომ ტყის დაცვა გამკაცრებულია და სახელმწიფოს მიერ კანონით დაწესებულია მაღალი ჯარიმები, იშვიათად, მაგრამ მაინც, აქვს ადგილი ბუნებრივი რესურსების დატაცება-დაზიანებას. მიმაჩნია, რომ სხვა ძალოვან სტრუქტურებთან ერთად გდი ჯერჯერობით, უნდა არსებობდეს.

**- ახალგაზრდობის როლი გარემოს დაცვასა და მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში?**

- სიტყვა ჩამოვარდა და მინდა ამ მტკივნეულ საკითხს დეტალურად შევეხო. ქართველი მეტყევეები განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ საერთაშორისო დონეზე. მათი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება ისწავლებოდა უმაღლეს სასწავლებლებში და ინერგებოდა პრაქტიკაში. ამის მკაფიო მაგალითი არაერთია. დღეს მეტყევე სპეციალისტების დეფიციტია საქართველოში. პროფესიით მეტყევე ენტომოლოგს და მეტყევე ფიტოპათოლოგს მე პირადად არ ვიცნობ და არც მგონია, იყოს. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში კი, სადაც სატყეო საქმეს ასწავლიდნენ, გაუქმდა. ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე ისწავლება აგროეკოლოგია და სატყეო საქმე, მაგრამ დიპლომში არ ეწერება მეტყევე, მეტყევე ინჟინერი და მსგავსი. ამ მიზეზების გამო ახალგაზრდობის როლი გარემოს დაცვასა და მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში არ იგრძნობა.

**- გოდერძის ალპურ ბოტანიკურ ბაღს რა მომავალი აქვს?**

- გოდერძის ალპური ბოტანიკური ბაღი თავისი შესანიშნავი პანორამებით - აჭარის მთებში, ზღვის დონიდან 1960 მეტრ სიმაღლეზე, გოდერძის უღელტეხილიდან 3 კილომეტრზე მდებარეობს, სადაც ველურად მოზარდი 50 ოჯახის, 111 გვარისა და 161 სახეობის მცენარე და ჰაბიტატის მრავალფეროვნებაა თავმოყრილი. იქვე შეხვდებით ტყის მრავალსაუკუნოვან ნამარხს, რომელიც ჩვენს წარსულ ისტორიაზე მოგვითხრობს, იქაურობას ამშვენებს ულამაზესი ტბები, სამკურნალო ჰავა, ტალახი, ველური ფაუნა. უამრავი ტურისტი, რომლებიც დიდი შთაბეჭდილებებით ბრუნდებიან თავიანთ ქვეყნებში, აქვეყნებენ სტატიებს ქართულ კულტურაზე, ტრადიციებზე, აქაურ წეს-ჩვეულებებზე, ბუნების მრავალფეროვნებაზე და სხვა. ეს ყველაფერი ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული დონის ამაღლებას, ველური ბუნების შენარჩუნებას და მის მდგრადობას. ასე რომ, გოდერძის ალპურ ბოტანიკურ ბაღს დიდი მომავალი აქვს.

**- სამთავრობო დონეზეა მსჯელობა აჭარის მთიანეთის ტყეების დაცულ ტერიტორიებად გამოცხადებაზე. თქვენ რა მოსაზრება გაქვთ?**

- ტყეების დაცულ ტერიტორიებად გამოცხადება ცუდი საქმე ნამდვილად არ არის, მაგრამ გააჩნია, რა სახის იქნება: ნაკრძალი, აღკვეთილი, ეროვნული პარკი და ა.შ. ზოგჯერ, სიტუაციიდან გამომდინარე, ასეთი სახის სტატუსს მოსახლეობა თვითონ ანიჭებს არაფორმალურად. მაგალითად, ბეშუმის მიმდებარე ტყე დიდი ხანია არაფორმალურად ატარებს კურორტის სახელს.

**- წიგნის გამოცემა ყველა მეცნიერის ვალია...**

- ერთი წიგნი გამოვეცით - „სატყეო ტაქსაცია“, რომელიც ისწავლება უმაღლეს სასწავლებლებში, მეორე - „სატყეო ტაქსაციის“ პრაქტიკული მზად მაქვს გამოსაცემად, რომელშიც განხილულია ბუნებრივი რესურსების აღრიცხვის თანამედროვე მეთოდები, თანამედროვე ხელსაწყო-იარაღების გამოყენებით.

**- ხიჭაურის უნივერსიტეტის როლს როგორ აფასებთ?**

- ხიჭაურის უნივერსიტეტის როლი დიდია. მან მრავალი ისეთი ახალგაზრდა აღზარდა, რომლებსაც მატერიალური სიდუხჭირისა და სწავლის ქირის გადაუხდელობის გამო, უმაღლესი სასწავლებლიდან რიცხავდნენ. შემდგომ, იმედდაკარგული და თავგზააბნეული ახალგაზრდები სხვა გზას ადგებოდნენ. აქ ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ ისწავლო. ხიჭაურის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული გამოირჩევა თავისი რწმენით, ცოდნით, სამშობლოს სიყვარულით, საზოგადოებისადმი პატივისცემით. ზუსტად იცის საზოგადოებაში ქცევის წესები, ცოდვა-მადლი და ზნეობრივი ნორმები.

# „გარემო ჩვენთვის მისაწვდომი და ადაპტირებული უნდა იყოს!“

**ნაირა ფუტკარაძე 27 48 93**

*ჩვენ გვერდით ცხოვრობენ ადამიანები, რომლებიც ვერ ხედავენ და არ ესმით. მათი საჭიროებები გაცილებით დიდია და საზოგადოების მხრიდანაც განსაკუთრებულ მხარდაჭერას ითხოვს. რა პრობლემებს აწყდებიან ყრუ-უსინათლო პირები და როგორ დავეხმაროთ მათ - ამის შესახებ საუბრობენ ყრუ-უსინათლო პირთა ექსპერტი* ***მაცაცო ხაჭაპურიძე*** *და „ქალთა ფონდი საქართველოში“ წევრი* ***მარიამ ბარამიძე***

**მაცაცო ხაჭაპურიძე:**

- მე თავად ვარ ყრუ-უსინათლო პირი, რაც „ვოლფრამის სინდრომით“ არის გამოწვეული. ცნობიერება ყრუ-უსინათლო პირებთან დაკა-



ვშირებით საქართველოში ძალიან დაბალია. ვერც კი ხვდებიან, რა შეზღუდვებზეა საუბარი. ყრუ-უსინათლო პირის ცხოვრება განსხვავდება მხოლოდ ყრუ ან მხოლოდ უსინათლო პირის ცხოვრებისაგან, რადგან ჩვენ გვაქვს მეტი შეზღუდვა და მათი კომპენსირების ნაკლები შესაძლებლობა. სიყრუეს და უსინათლობას იწვევს სხვადასხვა მიზეზი, მათ შორის, ვოლფრამის გარდა, აშერის სინდრომი. საქართველოში 2018 წელს შეიქმნა ყრუ-უსინათლო პირთა მხარდამჭერი კლუბი, რომელიც მათ შესახებ ცნობიერების ამაღლებას ემსახურება. ასეთი კლუბები ფონდ HumanDoc-ის მხარდაჭერით და პოლონური დახმარებით შეიქმნა და მუშაობს საქართველოს ხუთ ქალაქში - თბილისში, ბათუმში, თელავში, ზუგდიდსა და ქუთაისში.

**- რა პრობლემებს აწყდებიან საზოგადოებაში ყრუ-უსინათლო პირები?**

- ყველაზე დიდი პრობლემა ცნობიერების არარსებობაა. ბევრმა არ იცის, რა შეზღუდვები და საჭიროებები აქვთ სრულიად ყრუ-უსინათლო ადამიანებს. ისინი განსაკუთრებით რთულ სიტუაციაში არიან. ბოლო პერიოდში მათ მხარდასაჭერად ტრენინგები გაიარეს თარჯიმან-მეგზურებმა, დაეუფლნენ კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებსა და ყრუ-უსინათლო პირთან ერთად უსაფრთხოდ გადაადგილების ტექნიკას. თარჯიმან-მეგზურის ვალია, იყოს ყრუ-უსინათლო პირის „ყური და თვალი“. ერთ-ერთი ასეთი ადამიანია დედაჩემი. უკვე ძალიან ბევრი კარგი საქმე გაკეთდა ყრუ-უსინათლო პირთა მხარდასაჭერად. თარჯიმან-მეგზურები ეხმარებიან მათ ყოველდღიური საკითხების მოგვარებაში, დაჰყვებიან ბანკში, პოლიკლინიკაში... პოლონელებმა საქართველოში შემოიტანეს ლორმის ანბანი ყრუ-უსინათლო პირებთან კომუნიკაციისთვის. ეს არის ხაზების ან წერტილების გამოსახვა ხელის შიდა ან გარე მხარეს. ჟესტებით ხდება ინფორმაციის გადაცემა. ეს ენა შექმნა 100 წლის წინ გერმანიაში მწერალმა და ჟურნალისტმა ლორმმა, საქართველოში კი ქართული ანბანის მიხედვით შეიქმნა.

**მარიამ ბარამიძე:**

- მახსოვს, როგორი გაოცებული ვიყავი, როდესაც უცხოეთში დავესწარი სმენადაქვეითებული ახალ-



გაზრდების საერთაშორისო ფედერაციის მიერ ჩატარებულ სასწავლო სესიას - ჩვენი საუბარი ეკრანზე იწერებოდა. ამ ყველაფერს უზრუნველყოფდნენ პალანტიპისტები. ეს პროფესია სპეციალურად სმენადაქვეითებული ადამიანების მხარდასაჭერად შეიქმნა, რადგან სასწავლო სესიები, საზაფხულო ბანაკები თუ ტრენინგები ყრუ და სმენადაქვეითებული ადამიანებისთვის მაქსიმალურად მისაწვდომი ყოფილიყო. საქართველოში პალანტიპისტების მომსახურება არ გვაქვს, არადა, ძალიან დიდი მხარდაჭერა იქნებოდა. ზოგჯერ ადამიანები სმენის პრობლემას ისე მწვავედ არ აღიქვამენ, როგორც სხვა შეზღუდულ შესაძლებლობებს. რადგან ჩვენ ხელ-ფეხი გვაქვს, ჰგონიათ - არა უშავს, თუ სმენა არ გაქვს, ამის გარეშეც იცხოვრებ. არ ფიქრობენ, რომ შეიძლება უსმენობამ ფიზიკურ გარემოში ორიენტაციაშიც შეგიშალოს ხელი. ჩვენთვის, სმენის პრობლემის მქონე ადამიანებისთვის, პრიორიტეტულია, რომ ბევრი ვიზუალური ნიშანი იყოს ქუჩებში, ავტობუსის გაჩერებებზე, აეროპორტებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში. მისაწვდომობის ხარისხის გასაზრდელად მიზანშეწონილია, რომ რესტორნებში მაგიდებთან იდოს მოწყობილობები, რომელზე თითის დაჭერითაც მიმტანი მაგიდასთან მოვა. მუზეუმებში ექსპონატებს უნდა ჰქონდეთ გვერდით წარწერები, აუდიომასალები წერილობითი სახითაც იყოს წარმოდგენილი, თუ ვიდეოები გადის, ახლდეს სუბტიტრები, უნდა გვყავდეს ჟესტური ენის თარჯიმნები, თუ სურდო-თარჯიმნების საჭირო რაოდენობა არ არის ქვეყანაში, გადამზადდნენ თანამშრომლები და თვეში რამდენიმე დღე მაინც გვქონდეს ამ სერვისის მიღების შესაძლებლობა. თქვენ წარმოიდგინეთ, კონცერტებიც კი შეიძლება პარალელურ რეჟიმში ჟესტურ ენაზე ითარგმნოს და მათ ყრუ და სმენადაქვეითებული პირები დაესწრებიან. უმწვავესი საკითხია სუბტიტრების უქონლობა ტელევიზიებში, ჟესტური ენით ნათარგმნი ახალი ამბები მხოლოდ საზოგადოებრივ მაუწყებელს აქვს, ისიც - ყოველთვის არა. ამ მხრივ, ონლაინმედია ტელევიზიებს ბევრად სჯობს. ზოგჯერ ადამიანებს უჭკუოც კი ვგონებივარ, რადგან არ ფიქრობენ, რომ შეიძლება სმენის პრობლემა გქონდეს. მართალია, სმენის აპარატს ვიყენებ, რაც ძალიან დიდი მხარდაჭერაა ჩემთვის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისევე მესმის, როგორც სხვებს. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები და გოგონები ამ შემთხვევაში ორმაგ დისკრიმინაციას განიცდიან, ჩვენ უფრო მეტად გვემუქრება გენდერული თუ სექსუალური ძალადობა, უგულებელყოფა, არასათანადო მოპყრობა. როდესაც ადამიანს კარგად არ ესმის, კონცენტრირებულია იმაზე, რომ გაარჩიოს სხვისი საუბარი და ნაკლები გონებრივი რესურსი რჩება ბალანსისთვის. სმენის დაქვეითება დაკავშირებულია გუნება-განწყობილებასთანაც, ის ზრდის შფოთვისა და დეპრესიის რისკს, რაც ადამიანს კონცენტრაციასა და ბალანსის შენარჩუნებაში უშლის ხელს. განსაკუთრებით მწვავეა ეს საკითხი, როდესაც ადამიანს სმენა მოუგვარებელი აქვს და არ ხმარობს შესაბამის აპარატს, რომელიც მისი სმენის სიხშირეზეა მორგებული. ამიტომ სმენის პრობლემა არ გულისხმობს მხოლოდ იმას, რომ რაღაც არ გესმის, ეს ჩვენი ცხოვრების ხარისხზე ახდენს გავლენას. მწვავე საკითხია ექიმებთან ვიზიტი, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე სექსუალურ და რეპროდუქციულ საკითხებს ეხება. ექიმებმაც არ იციან, როგორ იურთიერთონ სმენადაქვეითებულ ადამიანებთან. პრობლემაა კონფიდენციალურობის საკითხი ყრუ ადამიანებისთვის, რადგან მათ თან უნდა ახლდეთ ჟესტური ენის თარჯიმანი და იძულებულები არიან, ექიმის გარდა, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ საქმის კურსში ჩააყენონ სხვაც. ერთი სიტყვით, ყრუ და სმენადაქვეითებული ადამიანების წინაშე არსებული გამოწვევები მრავალფეროვანია, მიუხედავად იმისა, რომ დღეს არსებობს მხარდამჭერითი მოწყობილობები კოხლეარული იმპლანტისა და სმენის აპარატების სახით. ეს არ ნიშნავს, რომ ყველა ტექნოლოგიის მომხმარებელია ან ვინც მოიხმარს, მას სირთულეები არ გააჩნია. მნიშვნელოვანია, რომ გარემო იყოს მაქსიმალურად ადაპტირებული, მისაწვდომი, უსაფრთხო, რომ ყველა საჭიროების მქონე ადამიანი თავს დაცულად გრძნობდეს. ასეთ პირობებში შშმ პირების ცხოვრება ბევრად ლაღი და თავისუფალი იქნება. არ არის საჭირო ახალი ველოსიპედის გამოგონება, უბრალოდ, სხვა ქვეყნის გამოცდილებები გავიზიაროთ და დავნერგოთ ჩვენთან. არის რაღაცები, რასაც კოლოსალური თანხები არ სჭირდება. რომც სჭირდებოდეს, ყრუ და სმენადაქვეითებული ადამიანები საზოგადოების სრულფასოვანი წევრები ვართ და გარემო ჩვენთვის მისაწვდომი და ადაპტირებული უნდა იყოს!

# რას გვირჩევს ინფექციონისტი?

**მარიამ ხითარიშვილი 27 48 93**

*სპირტის ხსნარი „ბრილიანტის მწვანე“ ადამიანის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, რადგან მისი მეშვეობით, ჯერ კიდევ ახალდაბადებულ ბავშვს, სხვადასხვა ინფექციას ვურჩენდით. ის არც ძვირი ღირს და ანტისეპტიკური საშუალებაცაა, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, მისი გამოყენება ყოველთვის არ შეიძლება - ის აშრობს დაზიანებულ კანს, რითაც შეხორცების პროცესი ხანგრძლივდება, ნაწიბურის განვითარების რისკი კი მატულობს*

*ბოლო პერიოდში მცირე ასაკის ბავშვებში წითელა-ბატონებისა და ჩუტყვავილას შემთხვევები გაიზარდა, მშობლები კი ისევ აქტიურად იყენებენ „ზელიონკას“. ამასთან დაკავშირებით მეცნიერებათა დოქტორს, ინფექციონისტ* ***მაია ბუწაშვილს*** *მივმართეთ.*



- ჩვენს ქვეყანაში ჯანდაცვას რომ პრობლემები აქვს, ეს გასაგებია, მაგრამ რატომ არის ასეთი შეუძლებელი იმ სტერეოტიპების შეცვლა, რომლებსაც არავითარი გენერალური რეფორმები არ სჭირდება?! უბრალოდ, მარტივი გადაწყვეტილება უნდა მიიღონ ადამიანებმა, რომ აღარ გამოიყენონ სრულიად გაუგებარი „ზელიონკა“ გამონაყარზე წასასმელად თუნდაც იმიტომ, რომ ამ სრულიად უსარგებლო რამით მწვანედ მოხატული რომ მივდივართ ექიმთან, გამონაყარი აღარ ჩანს და ძალიან რთულია, რაიმე ამოიცნო. კანზე საერთოდ არ არის რეკომენდებული „ბრილიანტის მწვანის“ გამოყენება. როდესაც კანი ზიანდება და ჭრილობა არ არის ღრმა, უნდა ჩამოვიბანოთ გამდინარე სუფთა წყლით. თუ ანტისეპტიკური საშუალება არ გვაქვს, შესაძლებელია ამ ადგილის ჩვეულებრივი საპნით დაბანაც. ამის შემდეგ ჭრილობა უნდა დამუშავდეს. შესაძლებელია ეს ადგილი ბინტით შევუხვიოთ ადამიანს, შესაძლებელია გამოვიყენოთ ბეტადინი, იგივე იოდი, რომელიც ანტისეპტიკური საშუალებაა, ადამიანს არ ექნება წვის შეგრძნება. „ზელიონკის“ წასმა რეკომენდებული არ არის არც ნაკბენის შემთხვევაში. ეს იყო საბჭოთა მედიცინაში ცნობილი და პოპულარული საშუალება. რატომ არ არის სწორი მისი გამოყენება? ის კანს აშრობს, ჩვენ კი, პირიქით, დატენიანება გვჭირდება ჭრილობის შემთხვევაში შეხორცების დასაჩქარებლად და ნაწიბურის პრევენციისთვის. ზედაპირული ჭრილობის დატენიანებისთვის უნივერსალური და საუკეთესო საშუალება თეთრი ვაზელინია.

**- კიდევ ბევრი მცდარი თვითმკურნალობა არსებობს...**

- პირველ რიგში, ყოველთვის ვურჩევ პაციენტებს, არ გაიკეთონ გადასხმა, როცა შესანიშნავად შეუძლიათ წყლის დალევა. თუ ექიმი ეუბნება, რომ არ სჭირდება, არ მოითხოვონ კატეგორიულობით. არ „გაიჭყიპონ“ ბროწეულის და ჭარხლის წვენით ჰემოგლობინის ასაწევად და მიიღონ რკინის პრეპარატი, რაც დანიშნული აქვთ. არ მიიღონ და გაიკეთონ გაურკვეველი წარმოშობის „იმუნიტეტის გასაძლიერებელი“ წამლები, ასევე, გაურკვეველი წარმოშობის „მცენარეული“ პრეპარატები. ყელის ტკივილისას არ მიიღონ ერითრომიცინი და მუცლის ტკივილისას - ბისეპტოლი. არ გაიკეთონ „კატე“ კოვიდის დიაგნოზის დასმისთანავე, არ არის საჭირო. არ დალიონ თაფლიანი წყალი უზმოზე იმ იმედით, რომ „ორგანიზმს იწმენდენ“, არ მიიღონ გაზგასული თბილი „ბორჯომი“ და შემდეგ არ დაწვნენ თბილ „გრელკაზე“ მარჯვენა გვერდზე. ამ გზით არ ხდება არაფრის „გამორეცხვა“, სამაგიეროდ შეიძლება მავნე შედეგი დადგეს. შეწყვიტონ საინიექციო ამპულების გატეხვის და შიგთავსის დალევის გაუგებარი პრაქტიკა. საინიექციო იმიტომ არის, რომ ინიექციის სახით მიიღება, ხოლო პერორალურად - შესაბამისი ტაბლეტი ან ხსნარი. სრულიად გაუგებარი მიზეზით არ უნდა აიკრძალონ ზოგიერთი საკვების მიღება, მაგალითად, პომიდვრის (უამრავი დაავადების დროს, განსაკუთრებით ღვიძლის დაავადებებისას ბევრი რატომღაც არ მიირთმევს მას), ასევე ღორის ხორცის მიღება (პამიდორი და ღორის ხორცი განსაკუთრებულად „ეჭვმიტანილი“ პროდუქტებია და ყველაზე მეტად სწორედ მათ ერჩიან). თითქოს ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ რატომ უნდა უწესებდნენ ადამიანები თავს აბსოლუტურად უსაფუძვლო აკრძალვებს? ამაზე ადრეც მისაუბრია და არ მეზარება გამეორება: არ აიღონ ვალი, გინდა თუ არა, ბახმაროში და მსგავს „ყბადაღებულ“ კურორტებზე წასასვლელად, არ არის აუცილებელი! გაითვალისწინონ, რომ დიაგნოზი ყოველთვის ვერ დაისმევა და ეს შეიძლება არც იყოს ექიმის ბრალი. თუმცა, ცხადია, ექიმებსაც მოგვდის ბევრი შეცდომა და ზემოაღნიშნულ პრაქტიკას ზოგჯერ, სამწუხაროდ, ექიმების რჩევითაც მისდევენ პაციენტები. თავს აღარ მოგაბეზრებთ, ეს სია ძალიან გრძელია. ბოდიშს ვიხდი, თუ მენტორული ტონი გამომივიდა, მაგრამ ამ წვრილმანებს ყოველდღიურად დიდი დოზებით ვაწყდები და მიმაჩნია, რომ სწორ სამედიცინო ინფორმაციას დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგჯერ ჯანმრთელობაზე პირდაპირი ზემოქმედების, ზოგჯერ კი არასაჭირო ხარჯების და დროის ფუჭად კარგვის თავიდან ასაცილებლად. ჯანმრთელობას გისურვებთ!

## სანიოლი კვარაცხელიას „წაელადავა“



„ნაპოლიში“ გალა-ვახშამი გაიმართა, რომელზეც, ტრადიციისამებრ, გუნდის ახალწვეულებმა სიმღერა უნდა შეასრულონ. ხვიჩა კვარაცხელიამ Opus-ის Live is Life შეასრულა. საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვილი სანიოლი სოციალურ ქსელში იტალიელთა ქართველი შემტევის ვიდეოს გამოეხმაურა, სადაც კვარა მღერის. „სფფ-სა და ეროვნულ ნაკრებში ყველა ბედნიერია, რომ შენი საფეხბურთო უნარები უკეთესია, ვიდრე ვოკალური მონაცემები“, - დაწერა სანიოლმა, რასაც კვარაცხელიამ სიცილის სმაილით უპასუხა.

**ამირან გურიელიძე**

| დირექტორი | გამომშვები რედაქტორი | | გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია» | მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა |
|---|---|---|---|---|
| მამუკა ბერიძე | ირმა შერვაშიძე | რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე. | პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი» | ტელ: 27-13-31 |
| | ლიტერატურული რედაქტორი | (R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით. | მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3. | აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში |
| | ეთერ ხომერიკი | რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. | | დასაბეჭდად ხელმოწერილია 29/07/22, 21 20 სთ. |

# „ამოკის" ჩვენება – ღია ცის ქვეშ

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

*მალე ბათუმში, ქალაქის ძველ უბანში, დაახლოებით 500 კვადრატულ მეტრ ფართობზე უნიკალური კულტურული სივრცე - სულიკო ჟღენტის სახელობის კინოს მუზეუმი ოფიციალურად გაიხსნება და ეს მას შემდეგ, როცა ხულოს ქუჩაზე ყოფილ ძველ აბანოს სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდება*

ამ შესანიშნავი სიახლის შესახებ ჯერ კიდევ შარშან გვამცნო სიპ აჭარის მუზეუმების გაერთიანებამ და შარშანვე შედგა პროექტის პრეზენტაცია. მისი შექმნის კონცეფცია შეიმუშავა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა, ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა, ბათუმის სულიკო ჟღენტის სახელობის კინოს მუზეუმის ფონდის კურატორმა ოლიკო ჟღენტმა.

აჭარის სამუზეუმო გაერთიანებაში აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით დაფუძნდა მუზეუმი. შეიქმნა პროექტი, მალე გამოცხადდება ტენდერი. შენობა, სადაც უნდა განთავსდეს ეს მუზეუმი, არის სარეაბილიტაციო. პროექტით, შენობას შეუნარჩუნდება ავთენტურობა. სხვა საინტერესო სივრცესთან ერთად, მოეწყობა კინოდარბაზი, სადაც შესაძლებელი გახდება ფესტივალების, კონფერენციების, საერთაშორისო ფორუმების, სხვადასხვა სახის მასტერკლასების ჩატარება. აქ იქნება ფილმების ელექტრონული და ციფრული ვერსიები, მოეწყობა კაფე შენობაშიც და ტერასაზეც. ყველაფერი ეს ხელს შეუწყობს შემოქმედებითი ატმოსფეროს შექმნას. გუმბათოვანი თაღის ქვეშ (აქ ხულოს ქუჩის ცნობილი აბანოები იყო), მოეწყობა განსხვავებული სივრცე. საქართველოში მსგავსი ინფრასტრუქტურის მუზეუმი პირველად იქმნება (უცხოეთში არის ბერლინში, ტურინში...). მუზეუმში მოსული ადამიანი გაეცნობა ქართული კინოს ისტორიას, გამორჩეულად იმ ფილმების, რომელიც ბათუმშია გადაღებული და არა მხოლოდ ქართული, არამედ უცხოურიც, მხატვრული, ქრონიკული, თუ დოკუმენტური. ეს გახდება ეროვნული კინომემკვიდრეობის დაცვის ერთ-ერთი საუკეთესო ადგილი.



შენობის წინ, ღია ცის ქვეშ, მოეწყო ქართული მუნჯი კინოს შედევრ „ამოკის" ჩვენება. ქართული კინოს ვარსკვლავ ნატო ვაჩნაძის გარდა, ფილმში მონაწილეობენ ალექსანდრე იმედაშვილი, ვალერიან გუნია, ვიქტორ ჭანკვეტაძე, სესილია წუწუნავა, სიკო ფალავანდიშვილი. „ამოკი" ცნობილ ავსტრიელ მწერალ შტეფან ცვაიგის ამავე სახელწოდების ნოველის მსოფლიოში პირველი ეკრანიზაციაა. როგორც ოლიკო ჟღენტმა აღნიშნა, ფილმი 1927 წელსაა გადაღებული.

რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი, ცნობილი როგორც თეატრის დიდი რეფორმატორი, 20-იან წლებში ბრუნდება საქართველოში იმისთვის, რომ თეატრის განახლებას ჩაუდგეს სათავეში. 1927 წელს მისთვის კრიზისული პერიოდი დგება - ცნობილი მიზეზების გამო, კონფლიქტში მოდის ახმეტელის დაჯგუფებასთან, რის შემდეგ ტოვებს თეატრს და მიაშურებს კინოს. აქ ცდილობს იპოვოს თეატრისგან განსხვავებული ხერხები და საშუალებები, ანუ თეატრის რეჟისორს საკუთარი თავის რეალიზება სურდა კინოში.

- ფილმი გამოირჩევა ძალიან საინტერესო ექსპერიმენტული ძიებებით. აქ არის საოცარი ეფექტები, რაც თეატრში ძნელია ნახო. „ამოკი" არის შტეფან ცვაიგის, საბჭოთა ეპოქის ძალიან პოპულარული მწერლის ერთ-ერთი ნოველა. ის არის ფაქიზი ფსიქოლოგი მწერალი, რომელმაც ძალიან კარგად იცის ქალის სულიერი სამყარო. ძირითადად, ეს არის პერსონაჟის მოგონება, შინაგანი განცდა და ღრმა სინანული. სწორედ ამ მხრივ გახდა ეს ნაწარმოები მარჯანიშვილისთვის საინტერესო. შინაგანი განცდის მაქსიმუმისთვის რომ მიეღწია, კინოფირის „აალებას" მიმართა - პერსონაჟის შინაგანი წვა, ვნება, განცდა გადმოსცა. მარჯანიშვილისთვის ძალიან საინტერესო გამოდგა ნატო ვაჩნაძესთან ურთიერთობა. ფილმი აჭარაშია გადაღებული, რასაც მაყურებელი კადრებით ადვილად იცნობს - ციხისძირი, ჩაქვი, ბოტანიკური ბაღი. ამ ერთსაათიანი ფილმის ორიგინალი მოსკოვის სახელმწიფო არქივის ფონდში ინახებოდა, ამიტომ კარგი ხარისხისაა. მართალია, სუბტიტრები რუსულადაა, მაგრამ მას უკვე ქართულიც დაერთო, - აღნიშნა ოლიკო ჟღენტმა.

- ხულოს ქუჩა, კერძოდ, ადგილი, სადაც ბათუმის ძველი აბანოების შენობა მდებარეობს, სამომავლოდ გახდება ერთგვარი ჰაბი ქართული კინოს და ზოგადად, კინოს მოყვარულთათვის - აქ გაიხსნება ბათუმის სულიკო ჟღენტის სახელობის ქართული კინოს მუზეუმი. სახე, რომელიც ამ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს აქვს, მთლიანად შეუნარჩუნდება და მასში კომპაქტურად განთავსდება ყველა ის ინფრასტრუქტურა, რაც აუცილებელია თანამედროვე მუზეუმებისათვის - საგამოფენო და კინოჩვენების დარბაზები. ვფიქრობთ, რომ მსოფლიო რუკაზე ეს მუზეუმი ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს, - აღნიშნა აჭარის სამუზეუმო გაერთიანების სსიპ „აჭარის მუზეუმის" დირექტორმა თეონა ზოიძემ.

მუნჯი კინო ყოველთვის მუსიკითაა გაფორმებული. ამჯერად ფილმი ცოცხალი მუსიკით რევაზ ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლის (დირექტორი ნატო ორაგველიძე) საორკესტრო განყოფილების მოსწავლეებმა (ვიოლინოები და ფლეიტა) გააფორმეს, რამაც ღონისძიება უფრო შთამბეჭდავი გახადა.

# მუსიკა – კინოფილმებიდან და სპექტაკლებიდან

ნანა აბულაძე 577 20 35 90

*კულტურისა და ხელოვნების მოყვარულთათვის ბათუმში ყოველდღიურად არაერთი საინტერესო ღონისძიება იმართება. ერთ-ერთი გამორჩეული იყო საზაფხულო თეატრში გამართული კონცერტი, რომელშიც მუსიკოსებმა ნეკა სებისკვერაძემ და დავით ნოზაძემ ქართული კინოფილმებიდან და სპექტაკლებიდან პოპულარული დუეტები შეასრულეს*

საღამოს განსაკუთრებული ემოცია შესძინა თეატრმცოდნისა და ტელეწამყვანის ნიკოლოზ წულუკიძის მიერ საოცრად მოთხრობილმა საინტერესო ამბებმა, რომელიც ქართულ კინოს, ხელოვნებას და კონკრეტულად, ბათუმს უკავშირდებოდა. ასევე ემოციური იყო სცენაზე კინოსა და თეატრის ყველასათვის საყვარელი მსახიობის ნანული სარაჯიშვილის გამოჩენა, რომელიც განსაკუთრებულად მოეფერა ბათუმს. მან ფილმიდან „მანანა", რომელშიც შერულებული მთავარი როლითაც შეიყვარა საზოგადოებამ, სიმღერა შეასრულა.

კონცერტი, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „ახალი შემოქმედებითი პროექტების მხარდაჭერის საგრანტო კონკურსის" ფარგლებში გაიმართა.

- ჩემთვის უდიდესი ბედნიერებაა ბათუმელი მსმენელის წინაშე გამოსვლა. მოხარული ვარ, რომ სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში მივიღეთ მონაწილეობა, რამაც შესაძლებლობა მოგვცა, დღევანდელი საღამო გვეჩუქებინა ჩვენი საყვარელი ქალაქისათვის, ადამიანებისთვის, სტუმრებისთვის, რომელთა ემოციამაც განსაკუთრებული მუხტი შესძინა კონცერტს. ჩემი და დათო ნოზაძის დუეტი 2017 წელს შედგა. გვქონდა გარკვეული მონახაზი და კონკურსში გამარჯვებით ჩვენს ჩანაფიქრს სწორედ ამ სცენაზე შეესხა ფრთები. მინდა მადლობა გადავუხადო ნიკოლოზ წულუკიძეს, რომელმაც ჩვეული ოსტატობით წაიყვანა კონცერტი და უფრო მრავალფეროვანი გახადა იგი, ასევე ჩვენს საყვარელ მსახიობ ნანული სარაჯიშვილს, პიანისტ ნინო გულიაშვილს, თითოეულ მსმენელს, რომელმაც გვაგრძნობინა უდიდესი სითბო და სიყვარული. ბათუმზე უსასრულოდ შემიძლია ვისაუბრო, ეს არის ჩემი ბავშვობა, ჩემი პირველი წარმატების წლები, რომელიც დაკავშირებულია ბათუმზე შექმნილი სიმღერების ფესტივალთან „ბათუმის ტრუბადურები". სწორედ საზაფხულო თეატრში, ოღონდ ძველ დარბაზში ტარდებოდა ეს ფესტივალი. სიმბოლურია, რომ განახლებულ დარბაზში, ამდენი წლის შემდეგ, ისევ ვიმღერე პირველად. ბათუმი ჩემი მეორე ოჯახია, ჩემი შვილები ნახევრად ბათუმელები არიან, აქედან გამომდინარე, უამრავი ემოცია მაკავშირებს ამ ქალაქთან. ბათუმელი მსმენელი კიდევ ცალკე აღსანიშნავია, მან ყოველთვის იცოდა კარგი მუსიკის ფასი. ახლა უამრავი უცხოელი სტუმარია ქალაქში და შეგიძლია აზიარო ქართული მუსიკის მრავალფეროვნებას. ბათუმს უხდება მუსიკა და მას თავისუფლად შეუძლია გახდეს წამყვანი საფესტივალო ქალაქი, უნდა ჰქონდეს კიდეც ამის ამბიცია, რამეთუ მას ყველა პირობა აქვს საამისოდ, - გვითხრა მუსიკოსმა ნეკა სებისკვერაძემ.

მან ასევე ისაუბრა ქართულ კინომუსიკაზე. მისი თქმით, არაჩვეულებრივი რომანსები, მრავალხმიანი სიმღერა, რომელიც დღემდე დიდი სიყვარულით სარგებლობს სხვადასხვა თაობის მსმენელში, სწორედ კინოსა და სპექტაკლებისთვის იქმნებოდა.

- მსგავსი კონცერტებით ჩვენი თაობის დამოკიდებულებას და პატივისცემას ვაფიქსირებთ არაჩვეულებრივი, დიდებული კომპოზიტორებისადმი და ზოგადად, ამ მუსიკისადმი. ჩემთვის კინოშიც და თეატრშიც მუსიკის როლი უდიდესია. არის ფილმები, რომლებიც მუსიკის გამო მიყვარს და პირიქით. აქედან გამომდინარე, კომპოზიტორისა და რეჟისორის წარმატებული თანხვედრა, ვფიქრობ, ფილმის წარმატების საწინდარია. ამის ნათელი მაგალითები მრავლადაა, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ კინოში. რაც შეეხება მუსიკას ჩემს ცხოვრებაში, მოკლედ რომ გითხრათ, ეს არის მდგომარეობა, როცა ყველაზე ბედნიერი ვარ, - აღნიშნა ნეკა სებისკვერაძემ.



ბათუმზე, როგორც თავის დიდ სიყვარულზე, გვესაუბრა მსახიობი ნანული სარაჯიშვილი:

- განსაკუთრებული ურთიერთობა მაკავშირებს ბათუმთან. იმდენად მიყვარს და გულით ვატარებ ამ ქალაქის სიყვარულს, რომ „საპატიო ბათუმელობაც" მომანიჭეს, რაც ასმაგად სასიამოვნოა ჩემთვის. მადლობელი ვარ ყველა იმ ადამიანის, ვინც ეს გადაწყვეტილება მიიღო. მაქვს კითხვა: არის კი ვინმე, ვისაც არ უყვარს ბათუმი? ჩემთვის ეს ქალაქი განსაკუთრებულია, აქ არის ჩემი ბავშვობა, სიხარული, არაჩვეულებრივი ხალხი, მსახიობები. მახსენდება ბატონი იუსუფ კობალაძე, ბუმბერაზი მსახიობი როგორც შესახედავად, ასევე ნიჭით. ჩამოთვლა შორს წამიყვანს, ყველაფერი კარგი და ლამაზი მაკავშირებს ბათუმთან, მიყვარხართ და პატარა ბავშვივით სულ მომიხარია თქვენთან.

ნანული სარაჯიშვილმა გულისტკივილით აღნიშნა, რომ ის ურთიერთობები, პატივისცემა, რაც ადრე იყო, დღეს იმ დოზით აღარ არის, თუმცა იმედი გამოთქვა, რომ ადამიანები ისევ ისე შეიყვარებენ ერთმანეთს, როგორც წინათ.

# „ოქროს საწმისი – არგონავტების კვალდაკვალ"

მე-2 გვერდიდან

რესან ავეკული (ილია ელაშვილი) 5 წელია, რაც საქართველოში ცხოვრობს და ოჯახთან ერთად გადაწყვიტა ფესტივალში მონაწილეობა. მასთან ერთად ანსამბლში მღერიან მეუღლე, შვილები, სიმამრი.

- ამ ფესტივალში პირველად ვმონაწილეობ და იმდენად მომეწონა, რომ სხვა დროსაც აუცილებლად ჩამოვალ. შევასრულეთ სიმღერა „მოლანა". ფერეიდანში ხშირად ჩავდივარ, მაგრამ უკვე, ძირითადად, საქართველოში ვცხოვრობ, გავქრისტიანდი და არსად წასვლას აღარ ვაპირებ, - გვითხრა ილია ელაშვილმა.

პირველად ჩამოვიდა საქართველოში ესტონეთის ქალაქ ტალინის ფოლკლორული ანსამბლი „მერცხალი", რომლის ხელმძღვანელია ტრაუნო ზუბკო. როგორც მან გვითხრა, ანსამბლი 1997 წელს დაარსდა და მასში გაერთიანებულია სხვადასხვა ასაკის ჯგუფი.

- ჩვენ მხოლოდ ქორეოგრაფიულ ნომრებს ვასრულებთ, თუმცა ხშირად მსმენელთა წინაშე აკორდეონის თანხლებითაც ვასრულებთ სიმღერებს. ულამაზეს მხარეში ცხოვრობთ, თუ მოგვიწვევთ, სიამოვნებით ჩამოვალთ კიდევ. გონიოში ვართ დაბინავებულები და იქაურობაც არაჩვეულებრივია, - გვითხრა ტრაუნო ზუბკომ.

- ნებისმიერი აქ ჩატარებული ფესტივალი მისასალმებელია, რადგან ჩვენი კუთხის პოპულარიზაციასაც უწყობს ხელს. ორმაგად სასიხარულოა, რომ ამ ყველაფერში ჩართული არიან ახალგაზრდები, რომლებიც ერთმანეთს თავიანთი ქვეყნების კულტურას აცნობენ. წარმატებას ვუსურვებ ფესტივალის თითოეულ მონაწილეს, - გვითხრა გიორგი ჩხარტიშვილმა.

ანჟელა ქამუშაძემ მადლობა გადაუხადა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის სამსახურს მხარდაჭერისთვის. ფესტივალის ორგანიზატორებს სურთ, ამ ახალგაზრდულ ფორუმს სამომავლოდ უფრო დიდი მასშტაბები შესძინონ.

